ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კახაბერ მაძღარაშვილი

ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურის გამოწვევები რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

კონფლიქტების ანალიზის და მართვის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია,

მოწვეული პროფესორი

თბილისი,2023

ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურის გამოწვევები რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშორმის მიზანია ევროპის კავშირის უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევების კვლევა კერძოდ ბალკანეთის ომების, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის და რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ანალიზის საფუძველზე. კვლევა მიმართული არის ევროკავშირის წინაშე ახლო წარსულში გატარებულ პოლიტიკაზე, ერთი მხრივ რუსეთ-ევროკავშირის შორის არსებულ თანამშრომლობაზე, წინააღმდეგობებსა და გამოწვევებზე, მეორე მხრივ უკვე არსებულ პრობლემებსა და საგარეო პოლიტიკური ვექტორის მკვეთრ ცვლილებაზე. კვლევითი ნაშრომის მიზნის გათვალისწინებით საკვლევი თემის ამოცანები ამგვარად ფორმულირდება: 1. გაანალიზდეს ევროკავშირის უსაფრთხოების გამოწვევები XX საუკუნის მიწურულს და XXI საუკუნის I მეოთხედში. 2. გამოიკვეთოს ევროკავშირის ის ძირითადი პარადიგმები და კრიზისები, რაც გამოვლინდა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე.

კვლევის ჰიპოთეზაში გამოყოფილი არის ორი მთავარი თეზისი: 1. პოსტბიპოლარულ ეპოქაში ჩამოყალიბებული ევროპული გაერთიანება და ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტრატეგია ცივი ომის დასრულებამდე. 2. რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურაზე.

ჩემს მიერ შერჩეულ საკვლევ თემას, რომ ჰქონდა რელევანტური შედეგი, აღნიშნული კვლევის დასამუშავებლად შერჩეული მაქვს შესაბამისი კვლევის ინსტრუმენტები და ესენია: 1. შემთხვევის შესწავლა (Case Study); 2. მეორეული წყაროების ანალიზი; 3. სამაგიდო კვლევის ტექნიკა (Desk Research); 4. ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან. აღნიშნული საკვლევი ინსტრუმენტების მეშვეობით, საკითხის ემპირიული ანალიზის საფუძველზე კვლევის ჰიპოთეზა დადასტურდა.

ვფიქრობ მკითხველის ყურადღებას იმსახურებს ჩემს მიერ წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომის მნიშვნელობა მისი შედეგების აქტულობის თვალსაზრისით. ერთი მხრივ უშუალოდ კვლევის თემა ახსნა-განმარტებითი ფუნქციის მატარებელია, იგი ცხადად წარმოაჩენს გამოწვევებს, კრიზისებს და მის შესაძლო გადაჭრის გზებს სახავს, რის გაცნობის შემდეგ შესაძლებელია საკვლევი თემის, თუ მასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენების ფუნდამენტური გამოკვლევა და შესაბამისად თემის განვრცობა-განვითარება. მეორე მხრივ სამაგისტრო თემის საბოლოო ანგარიშში შეთავაზებული არის რამდენიმე მნიშვნელოვანი და საყურადღებო რეკომენდაცია, რომელიც უშუალოდ ეხება კვლევის ემპირიული ანალიზის შედეგად მიღებულ მოცემულობას რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური ნაციონალიზმი, ეთნიკური წმენდა, ეთნიკური კონფლიქტი, პოლიტიკური კონფლიქტი, სამხედრო ესკალაცია, სამხედრო კონფლიქტი.

Challenges of the European Union's Security Architecture Amid the Russian-Ukraine War

Annotation

The aim of the presented master's thesis is to research the challenges facing the security of the European Union based on the analysis of the Balkan wars, the August 2008 conflict between Russia and Georgia, and the current conflict between Russia and Ukraine. The research focuses on the policy of the European Union form the recent past, on the one hand, on the existing cooperation, contradictions and challenges between Russia and European Union, on the other hand, on the already existing problembs and the sharp change of the foreign political course. Taking into account the purpose of the research work, the assignments of the research topic are formulated as follows: 1. To analyze the security challenges of the European Union at the end of the 20th century and the first quarter of the 21st century. 2. To highlight the main paradigms and crises of the European Union, which were revealed amid the Russia-Ukraine war.

There are two main theses identified in the research hypothesis: 1. The European Union formed in the post-bipolar era and the strategy developed by this organization before the end of the Cold War. 2. The ongoing Russia-Ukraine war, wich has a significant impact on the security architecture of the European Union.

In order to obtain relevant result from my research, I have selected appropriate research tools to process the mentioned research, and these are: 1. Case Study; 2. Analysis of secondary sources; 3. Desk research technique; 4. In-depth interview with experts. Through the above-mentioned research tools, the research hypothesis was confirmed based on the empirical analysis of the issue.

The importance of the presented research paper is based on the relevance of its results. On the one hand, the topic of the research has an explanatory function, it clearly presents the challenges, crises and possible ways to solve them, after familiarizing yourself with it, it is possible to conduct a fundamental investigation of the research topic or the key events related to it and, accordingly, the

expansion and development of the topic. On the other hand, in the final report of the master's topic, there are several important and noteworthy recommendations, which directly relate to the situation obtained as a result of the empirical analysis of the research amid the ongoing war between Russia and Ukraine.

Keywords: Ethnic Nationalism, Ethnic Cleansing, Ethnic conflict, Political conflict, Military Escalation, Military Conflict.

სარჩევი

შესავალი.....7

თავი I ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განვითარება XX-XXI საუკუნეში.....28

1.1. ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძვლების მომზადება XX-XXI საუკუნის მიჯნაზე, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.....28

1.2 ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკა 2004-2008 წლებში და საქართველო.....37

1.3 ევროკავშირის გამოწვევები და მის მიერ შემუშავებული სამეზობლო პოლიტიკა 2009-2014 წლებში რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების ფონზე, ყირიმის ანექსიის ფაქტი.....46

თავი II. ევროპული უსაფრთხოების გამოწვევები (2015-2023წწ.).....54

2.1. რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობები, თანამშრომლობა და გამოწვევები 54

2.2. რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი, დიდი კრიზისი ევროპის კონტინენტზე და ევროკავშირის მიერ შემუშავებული პოლიტიკა.....60

დასკვნა.....68

გამოყენებული ლიტერატურა.....71

შესავალი

თემის აქტუალობა

ევროკავშირი კონფლიქტების რიცხვის უპრეცედენტო ზრდის და არაკონვენციური საფრთხეების მომსწრეა მის სამეზობლოში და საზღვრებს მიღმა. რუსეთის სამხედრო ესკალაცია უკრაინის წინააღმდეგ ბოლო წვეთი აღმოჩნდა ევროკავშირის პოლიტიკური ლიდერებისათვის, რათა მათ მეტი პასუხისმგებლობა აიღონ და გააძლიერონ ევროპის უსაფრთხოება და თავდაცვა. ახლო წარსულში ევროკავშირს აღწერდნენ როგორც ეკონომიკურ გიგანტს, თუმცა პოლიტიკურად ჯუჯა და სამხედრო თვალსაზრისით სუსტ გაერთიანებას. აღსანიშნავია, რომ ცივი ომის შემდგომი ეპოქის ყველაზე სახიფათო ვითარება არის შექმნილი მის უშუალო სამეზობლოში და სასწორზე არის არა მხოლოდ უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი სუვერენიტეტი, არამედ უფრო ფართო პრინციპები და ევროპის უსაფრთხოებასთან ერთად საერთაშორისო უსაფრთხოება და მსოფლიო გეოსტრატეგიული წესრიგი.

ევროკავშირს აქვს უსაფრთხოების ინტერესები მთელს მსოფლიოში, ერთი მხრივ ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკის კონტინენტსა, თუ ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში და სამხრეთ კავკასიაში. საფრთხეები კი ვლინდება ყველა სტრატეგიულ დონეზე: კიბერ სივრცეში, საზღვაო სივრცესა თუ ხმელეთზე. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური ინტეგრაცია შედარებით ადვილად მიღწეული მიზანი აღმოჩნდა, ვიდრე პოლიტიკურ ინტეგრაცია და მით უფრო უსაფრთხეობის და თავდაცვის საკითხები. ევროპული თავდაცვის ინტეგრაციას ბიძგი მისცა ბალკანეთში 1990-იან წლებში გაღვივებულმა ეთნიკურმა და სამხედრო კონფლიქტებმა, სადაც კონფლიქტების პრევენციასა და კრიზისების მართვაზე პასუხისმგებლობა აიღო ამ ორგანიზაციამ, ჩართული აღმოჩნდა მოლაპარაკებებში და იყო მედიატორი რუსეთის მიერ განხორციელებულ სამხედრო აგრესიის პირობებში საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო ომის შემდეგ მშვიდობის ხელშეწყობის მიზნით ქვეყანაში განალაგა საკუთარი მშვიდობისმყოფელები ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონის

მიმდებარედ საქართველოს კონტროლირებად რეგიონებში. ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოები არა მხოლოდ ყველა შესაძლო რესურსით ეხმარებიან უკრაინას არამედ ამერიკასთან კოორდინაციით ქმნიან დიდ კოალიციას, რათა ევროპის კონტინენტზე მალე დასრულდეს რუსული აგრესია უკრაინაში და უკრაინამ, რომელიც ტერიტორიით ევროპის კონტინენტზე რუსეთის ფედერაციის შემდეგ მეორე უდიდესი სახელმწიფო არის, საკუთარი ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს ომამდელ საზღვრებში.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი:

ნაშრომის მიზანია რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ევროკავშირის უსაფრთხოების გამოწვევების კვლევა. უშუალო კვლევა კი მიმართულია იმ გამოწვევათა კლასიფიკაციის განსაზღვრასა და ნათლად წარმოჩენაზე რის წინაშეც დგას ევროკავშირი ენერგეტიკული, პოლიტიკური თუ სამხედრო უსაფრთხოების თვალსაზრისით.

სამაგისტრო კვლევის ამოცანები:

სამაგისტრო ნაშრომის მიზნის შესაბამისად, საკვლევი ამოცანები ასე გამოიკვეთა: 1. გაანალიზდეს ევროკავშირის უსაფრთხოების გამოწვევები XX საუკუნის მიწურულს და XXI საუკუნის I მეოთხედში. 2. გამოიკვეთოს ევროკავშირის ის ძირითადი პარადიგმები და კრიზისები, რაც გამოვლინდა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე.

საკვლევი კითხვა:

1. რა გავლენა აქვს რუსეთ-უკრაინის ომს ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემაზე?

1.1. რა კონკრეტული გამოწვევების წინაშე დგას ევროკავშირი მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში?

ჰიპოთეზა:

პოსტ-ბიპოლარულ ეპოქაში შეიქმნა ევროპული გაერთიანება, რომელსაც ამ ეტაპზე არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა, ამიტომ ევროკავშირი ამ ეტაპზე დგას სერიოზული ასიმეტრიული გამოწვევების წინაშე, რომელსაც ხელს უწყობს რუსეთის ომი უკრაინაში.

კვლევაში გამოიყოფა ორი ცვლადი, დამოუკიდებელი და დამოკიდებული. დამოუკიდებელი ცვლადი არის კონფლიქტები, რომელიც არსებობს ობიექტურად, ხოლო დამოკიდებული ცვლადი არის ევროკავშირის პოზიცია ამ კონფლიქტებთან მიმართებაში, რომელიც გავლენას ახდენს კონფლიქტების მიმდინარეობაზე და რომელიც კვლევის მეშვეობით გაზომვადია.

თეორიული ჩარჩო

ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფციებს საფუძველი ჩაეყარა XVII საუკუნეში, ევროპაში ოცდაათწლიანი ომის დროს, ხოლო 1648 წლის ვესტფალიის ზავმა ჩამოაყალიბა ახალი სისტემა, რაც დაეფუძნა ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტის აღიარების პრინციპებს (Kim R. Homles, 2015). ნაშრომში მთავარი აქცენტები გამახვილებული იქნება ევროკავშირის უსაფრთხოების შემდეგ მთავარ ფაქტორებზე:



რუსეთ-უკრაინის ომმა ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემა ფუნდამენტური გამოწვევების წინაშე დააყენა, რასაც ნათლად ხსნის **თავდაცვითი რეალიზმის** თეორია, რომლის მიხედვით სახელმწიფოების პირველი საზრუნავი არ არის ძალაუფლების მაქსიმიზაცია, არამედ პოზიციის შენარჩუნება სისტემაში (Steven E. Lobell, 2010). გადაწყვეტილების მიღების პრობლემა, რასაც ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოები აწყდებოდნენ, მოიცავს სარგებლის მიღებას შემდეგი გზით, სახელმწიფოები ზრდიან კოორდინაციას და მიზნის მისაღწევად შეთანხმებას აღწევენ რუსეთ-უკრაინის მიმდინარე სრულმასშტაბიანი ომში კონფლიქტამდე არსებული წესრიგის შესანარჩუნებლად (Peter Rudloff, 2013). აღნიშნული თეორიის მიხედვით ევროკავშირმა საკუთარ უსაფრთხოების

უზრუნველსაყოფად მეტად უნდა გაზარდოს სამხედრო შესაძლებლობები და ფინანსური ხარჯები, იმისთვის რომ უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობა შენარჩუნებული იქნას, შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფით, რათა ევროპაში არსებული საზღვრები არ დაირღვეს ძალისმიერად, წინააღმდეგ შემთხვევაში თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემას რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესია სრულად შეცვლის (Peter Rudloff, 2013).

თავდაცვითი რეალიზმის მიხედვით სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხე პირდაპირ კავშირშია სხვა სახელმწიფოების მფლობელობაში არსებულ ძალასთან, იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე რუსეთის მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ძალაუფლება წარმოადგენს საფრთხეს ევროკავშირისთვის, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ძალაუფლების მოცულობას, რომელიც სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კავშირს სჭირდება საკუთარი უსაფრთხოების მისაღწევად (Peter Rudloff, 2013). ზოგიერთი რეალისტი ვარაუდობს, რომ სახელმწიფოებს არ სჭირდებათ ძალაუფლების მაქსიმიზაცია, არამედ საკმარისი ხარჯების გაწევა უსაფრთხოების მისაღწევად (Snyder 2002, 151-155). კენეტ ვოლცის მტკიცებით ,,მხოლოდ იმ შემთხვევაში არის გადარჩენა უზრუნველყოფილი, როდესაც სახელმწიფოებს შეუძლიათ უსაფრთხოების მისაღწევად ეძებონ მიზნები, როგორიც არის მოგება და ძალაუფლება“ (Peter Rudloff, 2013). თავდაცვითი რეალიზმის მოდელის თეორიულ შედეგებს აჯამებს თავდაცვითი რეალიზმის ჰიპოთეზა ვინაიდან დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს წინაშე მდგარი საფრთხე იზრდება, იგი შემდგომში აუცილებლად გაზრდის სამხედრო ხარჯებს, ხოლო მეორე ჰიპოთეზის მიხედვით, როდესაც დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფო და ამ კონკრეტულ შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია, მისი მხრიდან გამოვლენილი სამხედრო საფრთხე უკრაინის მიმართ პირდაპირ ომში ვლინდება, ევროკავშირი რომელიც არის ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური ალიანსი ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულებით ზურგგამაგრებული ეხმარება უკრაინის თითქმის ყველა მის ხელთ არსებული საშუალებით, რათა გაზარდოს უკრაინის უსაფრთხოება და

გადარჩენის შანსები საერთაშორისო სისტემაში, მისი პოზიციის ე.წ. სტატუს კვოს შენარჩუნებით და არა გაფართოვებით (Peter Rudloff, 2013).

უსაფრთხოების დილემა არის მოვლენა, როდესაც სახელმწიფოს მიერ საკუთარი უსაფრთხოების ზრდის მიზნით განხორციელებული ნაბიჯები ავლენს სხვა სახელმწიფოების რეაქციას, რაც თავის მხრივ იწვევს სახელმწიფოს უსაფრთხოების შემცირებას და არა მატებას, აღნიშნული ტერმინი ეკუთვნის ჯონ ჰერცს, თუმცა უსაფრთხოების დილემის ლოგიკა სულ პირველად აღწერა ჰერბერტ ბატერფილდმა 1949 წელს, აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების დილემის ყველაზე ცნობილი მკვლევარები რობერტ ჯერვისი, ბარი პოზენი და ჩარლზ გლეიზერი არიან, რომელთაც განავითარეს და უსაფრთხოების დილემის სხვადასხვა ტიპებს ჩაუყარეს საფუძველი (Wivel, Andres, 2017). ყველა სახელმწიფო მუდმივად დგას უსაფრთხოების დილემის წინაშე, რაც იცვლება დროსა და სივრცეში, ხოლო ტერმინი კარგად ერგება რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ევროკავშირის უსაფრთხოების დილემას, შესაბამისად ყველა სახელმწიფო არსებული სისტემის ეწ. სტატუს კვოს შენარჩუნებისაკენ ისწრაფვის, მათ მშვიდობა და უსაფრთხოება სურთ, ხოლო ომი შეიძლება მოხდეს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურის შიშის და დაუცველობის გამო (Wivel, Andres, 2017). უსაფრთხოების მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ უსაფრთხოების დილემა არის კონფლიქტის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, ვინაიდან არ არსებობს ძალადობის ლეგიტიმური მონოპოლია, არ არსებობს მსოფლიო მთავრობა და თითოეულმა სახელმწიფომ საკუთარ უსაფრთხოებასა და გადარჩენაზე თავად უნდა იზრუნოს, შესაბამისად ამ მიზეზით სახელმწიფოთა უპირველესი მიზანი არის საკუთარი უსაფრთხოების მაქსიმალური ზრდა რის მეშვეობითაც შეიძლება აიხსნას რუსეთ-უკრაინის ომში რუსეთის სახელმწიფოს ქცევა გამოვლენილი საკუთარი უსაფრთხოებისთვის, როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევა და მეორე მხრივ ევროკავშირის პოლიტიკა, რაც აისახება უკრაინის მიმართ გამოხატულ სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ დახმარებაში, რათა დაცულ იქნას მისი ინტერესები და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, არ გადაწყდეს ევროპის კონტინენტზე საზღვრების ხელოვნული ცვლა ძალისმიერად (Wivel, Andres, 2017).

სახელმწიფოები თუ ორიენტირებულები არიან მიზანზე მაგ. იარაღის შესყიდვა, ახალი სამხედრო ტექნოლოგიების განვითარება, რაც შეამცირებს სხვათა უსაფრთხოებას, იგი ნაკარნახევია საკუთარი უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, ხოლო სხვების უსაფრთხოების შემცირება სახელმწიფოს ავტომატურად არ აყენებს დილემის წინაშე, თუმცა საერთაშორისო სისტემის ანარქიულობის გამო სხვა სახელმწიფოებიც შესაბამის ნაბიჯებს დგამენ, ვინაიდან მათ არ იციან გამოიყენებს თუ არა შეიარაღებული სახელმწიფო თავს გაზრდილ სამხედრო შესაძლებლობებს სამხედრო აგრესიისთვის მომავალში (Wivel, Andres, 2017). უსაფრთხოების მკვლევართა ნაწილის აზრით უსაფრთხოების დილემის ინტენსივობა დამოკიდებული არის მსხვერპლი სახელმწიფოს სისუსტეზე, რადგან სამხედრო დამარცხების რისკი იზრდება ყოველ ჯერზე, როდესაც კონკურენტი სახელმწიფო ზრდის თავის სამხედრო შესაძლებლობებს, ამის საპირისპიროდ თუ პოტენციურად მსხვერპლ სახელმწიფოს ეხმარება სხვა სახელმწიფოთა ალიანსი და მის სამხედრო შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს, ამ შემთხვევაში ეროვნული უსაფრთხოების დილემის რისკი მცირდება (Wivel, Andres, 2017).

კონკრეტულად რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ევროკავშირმა საკუთარი სამხედრო შესაძლებლობების ზრდა დაიწყო, რათა ძალთა ბალანსის ეფექტურად დაცვა შეძლოს და თავიდან იქნას აცილებული რუსეთის მხრიდან გამოვლენილი სამხედრო აგრესიის ფონზე ევროპის კონტინენტზე ძალთა ბალანსის დარღვევა მისი ჰეგემონიით.

არნოლდ ვოლფერისის ძალთა ბალანსის თეორია უკავშირდება ძველი ევროპული სახელმწიფო სისტემის იმ მახასიათებლებს, რომელიც გამოიხატებოდა დიდი ხნის მანძილზე ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, სამყაროს დაყოფა მტრულ და ურთიერთ-მოქიშპე ბლოკებად, თუ ომების დაუსრულებელი სერიები. იმისთვის, რომ გამოვიკვლიოთ ევროკავშირის პოლიტიკის მიმდინარე პრობლემები, ან თუნდაც წარმოვაჩინოთ ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოთა ქმედებები და ინტერესები რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე, ტერმინი გარკვეულწილად ეხება სახელმწიფოებს შორის ძალაუფლების განაწილებას, ზოგ შემთხვევაში იგი გამოიყენება ძალაუფლების ზოგადი განაწილების სინონიმად, ან გულისხმობს ერთი სახელმწიფოს უპირატესობას მეორეზე

ძალაუფლების ჭარბი რაოდენობით (Arnold Wolfers, 1959). ქვეყნის სამხედრო ძალაუფლების ზომაც კი, რომელიც მისი ყოვლისმომცველი ძალაუფლების ნაწილია, მხოლოდ ომში შეიძლება გამოიცადოს. ძალთა ბალანსის თეორიას ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს, პირველ რიგში ძალთა ბალანსი ძალაუფლების იდეალურ განაწილებად მიიჩნევა, მეორე რიგში ეს არის ბევრი სახელმწიფოთა კოალიციის სისტემის თანდაყოლილი მოვლენის ბუნებრივი შედეგი, მესამე შემთხვევაში ძალთა ბალანსი წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის მიზანს, მეოთხე შემთხვევაში იგი მოძველებულ ცნებას წარმოადგენს (Arnold Wolfers, 1959). ძალთა ბალანსის თეორიის მიხედვით მსოფლიო მშვიდობა დამოკიდებული არის არა ძალაუფლების გაწონასწორებაზე და მეტოქეთა ძალის შემოწმებაზე, არამედ აბსოლუტური ძალაუფლების ხელმისაწვდომობაზე მათთვის ვინც მზად არის დაუპირისპირდეს პოტენციურად აგრესორ ქვეყანას, რათა რეალურად დაისაჯოს სისტემის ძალისმიერად დამრღვევი სახელმწიფო, რასაც კარგად ხსნის ევროკავშირის პოლიტიკა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე, აგრესორი რუსეთისათვის დაწესებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები, თუ უკრაინის მიმართ არსებული გულუხვი დახმარება (Arnold Wolfers, 1959). რუსეთის წარსული იმპერიალიზმისკენ მიდრეკილმა მთავრობამ გადაჭარბებით შეაფასა საკუთარი ძალა და არ შეაფასა თავისი პოტენციური მოწინააღმდეგის ძალა რაც შეიძლება მისთვის კატასტროფული შედეგით დასრულდეს დასავლეთის კოალიციის, ევროკავშირის და აშშ-ს მიერ გაღებული დახმარებით უკრაინისადმი, ვინაიდან ისინი არ დაუშვებენ საერთაშორისო სისტემის საფუძვლების ჩამოშლას და ავტორიტარიზმის აღორძინებას ყველა საშუალებით დაუპირისპირდებიან, რომ შენარჩუნდეს ძალთა ბალანსი ევროპის კონტინენტზე.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის **თანამშრომლობითი უსაფრთხოების კონცეფცია** კარგად ხსნის ევროკავშირის მიერ გატარებულ პოლიტიკას რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შესაკავებლად უკრაინაში. კოენი ცდილობს განსაზღვროს და ჩამოაყალიბოს თანამშრომლობითი უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ზოგადად ასახავს ლიბერალურ/იდეალისტურ შეხედულებას მსოფლიო უსაფრთხოების

მომავლის შესახებ (Richard Cohen, April 2001). მის მიერ ჩამოყალიბებული თეორია ოთხი რგოლისაგან შედგება, რაც მოიცავს:



ამ ოთხი რგოლიდან კოლექტიური უსაფრთხოება აღნიშნავს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ და სამართლებრივ ვალდებულებას დაიცვას ცალკეული სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა, კოლექტიური თავდაცვა არის ხელშეკრულებით შეკრული ყველა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება, რომ დაიცვან ერთმანეთი გარედან განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში, ინდივიდუალური უსაფრთხოებში იგულისხმება ადამიანის უსაფრთხოება და ადამიანის უფლებათა დაცვა, როგორც ლიბერალური დემოკრატიის ირგვლივ აგებული საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ქვაკუთხედი, სტაბილურობის ხელშეწყობას რაც შეეხება იგი მიმართულია სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაზრდისაკენ თანამშრომლობის გზით, რა პოლიტიკასაც ატარებს ევროკავშირი თავის მხრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურთან ერთად დე ფაქტო თანამშრომლობითი უსაფრთხოების ორგანიზაცია (Richard Cohen, April 2001). კოლექტიური უსაფრთხოება გამოიყურება, როგორც სუვერენული სახელმწიფოების ჯგუფის ფარგლებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მცდელობა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი განაგრძობს გაფართოვებას XXI საუკუნეშიც და ახალ დემოკრატიულ ქვეყნებს იკრებს თავის გარშემო, რაც აღრმავებს და აფართოვებს თანამშრომლობითი უსაფრთოების სივრცეს ევროპის კონტინენტზე.

დასკვნის სახით, რომ ვთქვათ ჩემს მიერ წარმოდგენილი თეორიული ჩარჩოს მეშვეობით კვლევითი ნაშრომისათვის არსებითად მნიშვნელოვანია ემპირიულად გამოვიკვლიო და გავაანალიზო ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურის გამოწვევები რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის მაგალითზე.

მეთოდოლოგია

საკვლევი თემის პროცედურული ნაწილის დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობიდან და სირთულიდან გამომდინარე კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომლის დახმარებით ვვარაუდობ საკითხის ფუნდამენტურ და სიღრმისეულ შესწავლას. კვლევაში გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის რამდენიმე მეთოდი, რომელიც საშუალებას მომცემს საფუძვლიანად შევისწავლო ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურის გამოწვევები რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე, ასევე ომამდე არსებული ვითარება, ამასთან ვვარაუდობ იმ ძირითადი საკითხების გამოკვეთას და შესწავლას რა გამოწვევების წინაშეც დგას ამჟამად ევროკავშირი.

კვლევისთვის გამოვიყენე შესაბამისი ლიტერატურის მოძიების და მიმოხილვისათვის შემდეგი მეთოდები:

- შემთხვევის შესწავლა (Case Study)
- მეორეული წყაროების ანალიზი
- სამაგიდო კვლევის ტექნიკა (Desk Research)
- ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან

შემთხვევის შესწავლის (*Case Study*) მეთოდის მეშვეობით შევისწავლე II მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი კრიზისი ევროპის კონტინენტზე ბალკანეთის რეგიონში როგორც ევროპული თანამეგობრობის პირველი მნიშვნელოვანი გამოწვევა, ასევე რუსეთის აგრესიული ომი 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ, კონფლიქტის შეჩერების მიზნით ევროკავშირის მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯები, რაც დამეხმარა უკეთ შემესწავლა რუსეთის მიმდინარე ომი უკრაინაში და მისგან გამოწვეული სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის პრობლემები ევროკავშირში. აღნიშნული საკითხის კვლევამ საშუალება მომცა ძირეულად შემესწავლა ჩემს მიერ შერჩეული საკვლევი თემა და პასუხი გამეცა მთავარი კითხვისათვის, რა არსებული და შესაძლო გამოწვევების წინაშეც დგას ევროკავშირი.

მეორეული წყაროების ანალიზის საფუძველზე შევისწავლე და გავაანალიზე მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა თემატური სახის ლიტერატურა, როგორც უსაფრთხოების თემატიკის და პოლიტიკური თუ სამხედრო კონფლიქტების, ასევე სამხედრო ესკალაციის შესახებ. კვლევის პროცესში შესაბამისად შესაბამისად გამოვკვეთე აღნიშნული ცნებების ერთმანეთთან კავშირი. სამაგისტრო კვლევისთვის აუცილებელი მასალის მოგროვების შემდეგ გამოვიკვლიე ევროკავშირის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები და კრიზისები 1990-იანი ბალკანური ომების სერიიდან დაწყებული, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომით გაგრძელებული და ბოლოს რუსეთ-უკრაინის დიდი კრიზისი 2014 წელს ყირიმში და 2022 წლის 24 თებერვლიდან დღემდე მიმდინარე ომი, მისგან გამოწვეული დიდი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ტრანსფორმაცია ევროპის კონტინენტზე.

კვლევისთვის გამოვიყენე *სამაგიდო კვლევის ტექნიკა (Desk Research)* ლიტერატური მოძიებისა და მიმოხილვისათვის, ასევე გრიფირებული სტატიები, წიგნები და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა ფუნდამენტური ნაშრომები, საგაზეთო პუბლიკაციები და სხვადასხვა ტიპის მასალა.

კვლევითი ნაშრომისთვის რელევანტურობის შესაძენად გამოვიყენე *ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან,* რამაც მომცა საშუალება მიმეღო საჭირო ინფორმაცია მათგან ჩემი კვლევისთვის მეტი სანდოობის მინიჭების თვალსაზრისით. ყველა ექსპერტი ცალსახად აღნიშნავს უკრაინას, როგორც ევროკავშირის უმნიშველოვანეს პარტნიორს და რუსული სამხედრო ძალის შემაკავებელ ფაქტორს, რაც შეეხება რუსეთის სახელმწიფოს, მას აღნიშნავენ როგორც იმპერიალისტური ხედვების მქონე აქტორს, რომელიც ჯიუტად არ ემორჩილება თანამედროვე საერთაშორისო სამრათლის წესებს და საკუთარი წესრიგის დამკვიდრებას ცდილობს ევროპის კონტინენტზე თუ საკუთარ სამეზობლოში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ცნობილი ამერიკელი, ისტორიის და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი უილიამ ქილორი საკუთარ წიგნში ,,მეოცე საუკუნის მსოფლიო - საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან“ მკითხველისათვის საინტერესოდ აყალიბებს ევროპული გაერთიანების ერთგვარ ტრანსფორმაციას და გარდაქმნას ეკონომიკური კავშირიდან პოლიტიკურ კავშირად, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში მძლავრ პოლუსად არის წარმოდგენილი და მნიშვნელოვანი მოთამაშეა არა მხოლოდ ევროპასა და ევრაზიაში, არამედ იგი მწყობრ პოლიტიკას ახორციელებს აშშ-სთან კოორდინაციით იმ საფთხეებზე, რაც ემუქრება ევროპის კონტინენტს კონფლიქტების, კრიზისების, თუ სამოქალაქო და ეთნიკური ომების სახით. იგი აჩვენებს იმ გრძელ გზას რაც ევროკავშირმა გაიარა მისი დაარსებიდან თანამედროვე ეპოქამდე, დადებითად წარმოაჩენს იმ როლს, რაც ბალკანეთის ტრაგედიის დროს იკისრა ერთი მხრივ აშშ-მა და მეორე მხრივ ევროკავშირმა, ამასთან პოლიტიკური ლიდერების დაშვებულ შეცდომებსაც ცხადად წარმოაჩენს. აღსანიშნავია, რომ ავტორი ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროკავშირის უსართხოების არქიტექტურის პირველ დიდი გამოწვევას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ყოფილი იუგოსლავიის დაშლით გამოწვეულ საფრთხეებზე ამახვილებს ყურადღებას, ასევე 2000-იან წლებში რუსეთის სახელმწიფოს სუსტ როლზე, რათა იგი შეწინააღმდეგებოდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოვებას და ბოლოს პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის დესტრუქციულ როლზე, რომელიც ფორმალური პროტესტით შემოიფარგალა მხოლოდ 2004 წელს ნატოს გაფართოებასთან მიმართებით, შედეგად შვიდი ყოფილი კომუნისტური სახელმწიფო შეემატა ნატოს რიგებს (William R., Keylor, 2011).

თანამედროვე ქართველმა დიპლომატი და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ აბაშიძე თავის წიგნში ,,დანგრეული კედლის ჩრდილი“ ნათლად წარმოაჩენს ევროკავშირის და კოლექტიური დასავლეთის როლს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე, მრავალეროვნული სახელმწიფოს იუგოსლავიის სისხლიანი კონფლიქტის მოსაგვრებლად გადადგმულ თუ განხორციელებულ ნაბიჯებს, რამაც ევროპის კონტინენტს მშვიდობა მოუტანა. იგი ცხადად წარმოაჩენს იმ ნაკლოვანებებს, რაც ომის საწყის ეტაპზე

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერთა მცდარი წარმოდგენებით იყო განპირობებული, ბალკანეთის კონფლიქტს რომელიც გაგრძელდა 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოჰყვა დიდი ადამიანური მსხვერპლი, მოიტანა კოლოსარული მატერიალური ზარალი და პირველად საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრდა ახალი ტერმინი ,,ეთნიკური წმენდა", წიგნის ავტორი ერთი მხრივ აღნიშნავს ბალკანეთში ომის დასრულების შედეგად გადადგმულ ქმედით ნაბიჯებს ევროკავშირის და აშშ-ს მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ ხაზს უსვამს რუსეთის დესტრუქციულ პოლიტიკურ ნაბიჯებს და აღნიშნავს ვლადიმერ ჟირინოვსკის მოწოდებებს სერბი ხალხის მიმართ, რუსეთს წარმოაჩენს როგორც ერთგვარად მაპროვოცირებელს და წამქეზებელს ძმათამკვლელ ომში, დასასრულს ავტორი დანანებით აღნიშნავს იუგოსლავიის დაშლის პროცესის ერთ-ერთ ბოლო აკორდს და ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, კონკრეტულად კოსოვოს აღიარებაზე 2008 წელლს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, აღნიშნული ნაბიჯი მისი თქმით მთლიანად ცვლის არა მხოლოდ ევროპის პოლიტიკურ რუკას, არამედ მთლიანად თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ საფუძვლებს, რითაც იგი ერთგვარ პარალელს ავლებს 2008 წლის აგვისტოში რუსეთი მიერ განხორციელებულ სამხედრო აგრესიაზე საქართველოს წინააღმდეგ (ზურაბ აბაშიძე, 2012).

ცნობილი ამერიკელი დიპლომატი და პოლიტიკის ანალიტიკოსი რონალდ დიტრიხ ასმუსი წიგნში ,,მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა" მთავარ აქცენტებს აკეთებს რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში ხანმოკლე ომზე, რომელიც მისი მტკიცებით საერთაშორისო საზოგადოებისათვის სრულიად მოულოდნელად და სწრაფად დაიწყო და ასევე სწრაფად დასრულდა, ანალიტიკოსის აზრით საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ესკალაცია მოსკოვის მიერ მომზადდა და განხორციელდა, როგორც უფრო ფართომასშტაბიანი სტრატეგიის ნაწილი, რის მიხედვით რუსეთი საკუთარ სამხედრო ძალას აჩვენებდა აშშ-ს და არ დათმობდა საკუთარი გავლენის ზონას, კონკრეტულად სამხრეთ კავკასიის რეგიონს და ყველანაირი ბერკეტის გამოყენებით გავლენის სფეროს შეინარჩუნებდა. ნაშორმში საინტერესოდ არის გააზრებული რუსეთის პოლიტიკის მანკიერი მხარე და დასავლეთის ერთგვარი დაბნეულობა, იგი აღწერს რუსეთ-დასავლეთის

შედარებით სტაბილური ურთიერთობის რღვევის პროცესს და ასევე დასავლური ალიანსის მოშლასა და დასუსტებას, იქვე აღნიშნავს დასავლეთ ევროპის ბედს ეკონომიკური კრიზისის პერიოდში და მის დამოკიდებულებას რუსულ იაფ ბუნებრივ რესურსებზე, ნავთობსა და ბუნებრივ აირზე (რონალდ დ. ასმუსი, 2010). ავტორი დანანებით აღნიშნავს ევროკავშირის ნაკლებ დაინტერესებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონფლიქტების მიმართ და პარალელს ავლებს ბალკანეთში არსებულ ვითარებაზე, კონკრეტულად მაკედონიასა და ბოსნიაში განხორციელებულ ინტერვენციაზე თუ ომის შემდგომ გატარებულ სამშვიდობო პოლიტიკაზე კოსოვოში, ხოლო ამის საპირისპიროდ ნაკლებ დაინტერესებას უსვამს ხაზს საქართველოს მიმართ, რომელსაც ჰქონდა რუსეთის მიერ პროვოცირებული პოლიტიკური კონფლიქტი 1990-იან წლებში ორ რეგიონში ცხინვალსა და აფხაზეთში, აღნიშნული ორი რეგიონის, ერთი მხრივ კავკასიის და მეორე მხრივ ბალკანეთის კონფლიქტის ანალიზის შემთხვევაში რუსეთის როლი კარგად არის გამოკვეთილი სადაც რუსეთი ერთგვარ რევანშს იღებს კოლექტიური დასავლეთის წინააღმდეგ და საწყის ეტაპზე თუ ,,მცოცავი ანექსიის" სტრატეგიას მიმართავდა საქართველოს წინააღმდეგ სულ მალე სრულმასშტაბიან ომშიც გადაიზარდა, ამ წიგნმა თავის მხრივ დიდი დახმარება გამიწია ჩემი კვლევითი ნაშრომის ფუნდამენტური საფუძვლების შესაქმნელად (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

არკადი მოშე პოსტსაბჭოთა ისტორიაში რუსეთის პირველ სამხედრო ინტერვენციაზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც დიმიტრი მედვედევის დოქტრინას იშველიებს, რომლის მიხედვით რუსეთი ,,პრივილეგირებულ ინტერესების ზონაში" გარე აქტორების დაშვებას არ შეეგუება, აქვე აფასებს ევროკავშირის პასუხს რომელიც მხოლოდ მორალური გაფრთხილებით შემოიფარგლა და საბოლოოდ რუსეთ-უკრაინის 2009 წლის გაზის კრიზისს აღწერს როგორც მოვლენას, რომელმაც ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებას პირველი დიდი პრობლემა შეუქმნა და რუსეთი წარმოჩინდა როგორც არასანდო პარტნიორი (Arkady Moshes, 2009). ბარბარა როგევინი აფასებს 2008 წლის რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კონცეფციას, სადაც აღნიშნულია თანაარსებული ცივილიზაციების სიმრავლე, რომლის მიხედვით თანამედროვე ისტორიაში პირველად იღებდა გლობალური კონკურენცია

ცივილიზაციურ განზომილებას, უკვე 2010 წლიდან რუსეთის გადახრას ევრაზიული პარტნიორობისკენ აშკარაა (Barbara Roggeveen, 2021).

ცნობილი შვედი დიპლომატი და პოლიტიკოსი კარლ ბილდტი რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებს საქართველოსთან აფასებს, როგორც ევროკავშირისათვის საგანგაშო მოვლენას, ვინაიდან ევროპის კავშირის არათანამიმდევრულმა პოლიტიკამ ვლადიმერ პუტინს ერთგვარი ილუზია შეუქმნა, როგორც დაუსჯელობით წახალისებულმა 2014 წელს უკრაინის წინააღმდეგ გაეგრძელებინა აგრესიული პოლიტიკა (Carl Bildt).

თანამედროვე პოლიტოლოგიის და საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკოსის ზბიგნევ ბჟეზინსკის ნაშრომი ,,დიდი საჭადრაკო დაფა" ცხადად ხსნის ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესს ევრაზიის კონტინენტის მიმართ, კერძოდ იმ საჭადრაკო სვლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მანევრების განხორციელებას, რომელთა ძირითადი ფიგურები არიან ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოები საფრანგეთი და გერმანია, სწორედ მათი მეშვეობით ცდილობს აშშ გავლენის საზღვრების გაფართოვებას და პროამერიკული ორიენტაციის სახელმწიფოთა რიცხვის ზრდას. XX საუკუნის ბოლო ათწლედში მსოფლიოს პოლიტიკურ ველზე ერთგვარი ტექტონიკური ძვრები მოხდა, შესაბამისად პირველად ისტორიაში არა მხოლოდ მთავარ არბიტრად იქცა ევრაზიულ სახელმწიფოთა ურთიერთობაში არაევრაზიული სახელმწიფო, არამედ უძლიერეს, ერთადერთ სუპერ სახელმწიფოდაც აშშ. სსრკ-ს დამარცხება და დაშლა კი ფინალურ აკორდად იქცა აშშ-ს როგორც ერთადერთი და ჭეშმარიტად პირველი გლობალური სახელმწიფოს კვარცხლბეკზე აღზევების საქმეში. წიგნის ავტორმა ზუსტი პროგნოზი გააკეთა რუსეთის პოლიტიკურ ზრახვებთან მიმართებით, ერთი მხრივ აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირა სახელმწიფოების და მეორე მხრივ საქართველოს და უკრაინის წინაშე შემდგომ წლებში გამოვლენილი კრიზისები და ომები განსაზღვრა, იგი ხაზს უსვამს ფრანკო-გერმანულ-პოლონურ-უკრაინულ თანამშრომლობის შესაძლებლობას, თუმცა იქვე ხაზს უსვამს რუსეთის ფაქტორს სულ უფრო მზარდი დაძაბულობის კონტექსტში, ვინაიდან რუსეთის იმპერიული ზრახვები კვლავ ცხადად აჩენდა ,,შავი ხვრელის" მდგომარეობას, რომლის მიზნები მეზობელი სახელმწიფოების სუვერენიტეტის

განადგურება და ჩაყლაპვა არის (ბჟეზინსკი, 2014). ევროპის კავშირის საზღვრების გაფართოება და მის რიგებში ახალი სუვერენული სახელმწიფოების მიღება ერთი მხრივ თავად ევროკავშირის ინტერესებში არის, ხოლო მეორე მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების, რადგან გაფართოებული ევროპა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, თუ ევროატლანტიკური სივრცის ნაწილად დარჩება მაშინ ნატოს გაფართოებაც აუცილებელი იქნება, იმისთვის, რომ შენარჩუნებული იყოს ევროპის გაფართოების კონცეფცია და მოხდეს რუსეთის მისწრაფებების აღკვეთა. სწორედ ევროკავშირის და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შესაფერხებლად გადადგა რუსეთის ფედერაციამ აღნიშნული აგრესიული ნაბიჯი საკუთარი ეროვნული უსაფრთოებისთვის როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევის საპასუხოდ. ცნობილი ამერიკელი მკვლევარი და ანალიტიკოსი ბჟეზინსკი, საინტერესოდ აღწერს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს და მათ შორის საქართველოს, რომელთა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად აშშ-ს მთარობას ურჩევს მეტი დახმარების აღმოჩენას (ბჟეზინსკი, 2014). ტატიანა ზონოვა რუსეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის საწყისებს განიხილავს 1994 წლიდან 1999 წლამდე და ხაზს უსვამს ევროკავშირის მიერ მიღებულ ერთიან სტრატეგიას რუსეთთან საშუალო ვადიან პერსპექტივაში, შედეგად მხარეებმა საფუძველი ჩაუყარეს პოლიტიკურ, სამართლებრივ და ჰუმანიტარულ სფეროებში თანამშრომლობას (Tatiana Zonova, 2023).

ცნობილი ამერიელი დიპლომატი ჰენრი კისინჯერი საბჭოთა კავშირს მიიჩნევდა იმპერიად, რომლის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია განიცდის ერთგვარ დეზინტეგრაციას, იგი ერთგვარ პარალელს ავლებს წარსულში არსებულ ოსმალეთის და ჰაბსბურგების იმპერიებთან მათ დაცემასა და რეინტეგრაციასთან (ჰენრი კისინჯერი, 2021).

სინტია და რობერტსი ვლადიმერ პუტინის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველ პოლიტიკურ ნაბიჯებს აფასებენ 2000-2003 წლებში და მისი მხრიდან გადადგმულ პრაგმატულ ნაბიჯებს თუ შერჩევით გატარებულ რეფორმებს ქვეყანაში, მკვლევარები გამოყოფენ პუტინის დამოკიდებულებას ერთი მხრივ აშშ-ს და მეორე მხრივ ევროკავშირთან მიმართებით, სადაც პუტინის წარმოჩენილია როგორც დასავლელი მოკავშირებს შორის

შუღლის და განხეთქილების შემტანი 2003 წლის ერაყის კამპანიისას, საფრანგეთის და გერმანიის მაგალითზე (Cynthia A. Roberts. Dr, 2007).

მკვლევარი იონათან ქოსგროვი XXI საუკუნეში რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების ისტორიული კანონზომიერებით ახსნას ცდილობს, რაშიც მნიშველოვან როლს ხედავს ორი ქვეყნის საკამათო პოლიტიკურ წარსულში კიევის რუსეთთან, ყირიმის ნახევარკუნძულის მნიშვნელობას კი რუსეთის სახელმწიფოსათვის, როგორც ერთი მხრივ წარსულში ძლიერების სიმბოლოს და მეორე მხრივ ზესახელმწიფოს სტატუსის დაკარგვასთან ასოცირებას ახდენს (Jonathon cosgrove, 2020).

რასელ ბუჩანი და ნიკოლას ცაგურიასი აღწერენ უკრაინის პოლიტიკური ცხოვრების შიდა წინააღმდეგობებს, რაც დაკავშირებული იყო ერთმანეთთან დაპირისპირებული პრორუსულ და პროდასავლურ პოლიტიკურ ჯგუფებთან 1991 წლიდან 2013 წლამდე, სადაც გამოყოფენ შედარებით სტაბილურობის და კრიზისულ ფაზებს, იანუკოვიჩის უარყოფით როლს და მის პრორუსულ პოლიტიკას (Russell buchan, Nicholas Tsagourias, 2017). ვოლფგანგ კოტი ყირიმის ანექსიის ფაქტს წარმოგვიდგენს როგორც ახალ მოცემულობას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში და ევროკავშირის შეცვლილ, თუ გადაფასებულ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ. იგი ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურის გამოწვევებს სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს, როგორც სრულად შეცვლილ რეალობას, იმ მოცემულობას რომ XXI საუკუნის თვალთახედვით ევროპის საგარეო პოლიტიკა თუ უნდა დაფუძნებოდა საერთაშორისო ნორმებს და ღირებულებებს, ამის საპირისპიროდ რუსეთის ხისტი სამხედრო ძალის წინაშე აღმოჩნდა სრულიად მოუმზადებელი (WOLFGANG KOETH, 2018). მიმომხილველი ნივედიტა კაპური 2014 წლის უკრაინის კრიზისს გვიხატავს როგორც რუსეთ-ევროკავშირს შორის ურთიერთობის პირველ მნიშვნელოვან ცვლილებად, შედეგად რუსეთს დაუწესდა სანქციები და გარიცხეს G-8-დან, თუმცა აქვე აღნიშნავს ავტორი ევროპის კავშირის პოლიტიკური ლიდერების ფრთხილ პოლიტიკას, რატა არ გამოიწვიონ რუსეთის გაუცხოება და მინსკის ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულება რუსეთს მოსთხოვონ ეკონომიკური სანქციების მექანიზმის მეშვეობით, იგი 2016 წელს შემუშავებულ ევროკავშირის 5 ძირითად პრინციპს გვამცნობს, სადაც აღნიშნულია ის ძირითადი

პრინციპები რაც იქნებოდა წამყვანი ფაქტორი ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად ურთიერთობების გაღრმავების ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორებთან (Nivedita Kapoor, 2021). ანკიტა დუტა ხაზს უსვამს რუსეთის მიერ შემუშავებულ საგარეო პოლიტიკის ახალ კონცეფციას, სადაც პირველად არის დადანაშაულებული აშშ და ევროკავშირის გეოპოლიტიკურ ექსპანსიაში, ასევე აღნიშნულია რუსული დაზვერვის სამსახურის მიერ მამა-შვილ სკრიპალების მოწამვლა დიდ ბრიტანეთში და შედეგად საერთაშორისო სკანდალი, რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ალექსეი ნავალნის მოწამვლა და ევროპის კავშირის მოწოდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის ახალი სტრატეგიის შემუშავების, თუ კრიტიკული გადახედვის რუსეთთან სამომავლო ურთიერთობების სხვადასხვა პლატფორმებზე (Ankita Dutta , 21). საერთაშორისო მიმომხილველი მერსი კუო ჩინეთ-რუსეთის პოლიტიკურ კავშირს, ევროკავშირ-ამერიკის საპირწონედ წარმოგვიდგენს, სადაც დასავლეთის მიერ მხადრაჭერილ ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს რუსეთ-ჩინეთის ბლოკი უპირისპირებს საერთაშორისო წესრიგის ალტერნატიულ ხედვას, მიუხედავად მათ შორის რეგიონულ ჰეგემონობასთან დაკავშირებული ასიმეტრიულ წინააღმდეგობისა, აქვე ექსპერტი ხაზს უსვამს რუსეთ-ჩინეთის ერთობლივ სამხედრო წვრთნებს და მათ ერთობლივ აქტივობებს ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთიდან სუბსაჰარულ აფრიკამდე, რაც უარყოფითად აისახება ევროკავშირ-ამერიკის გავლენებზე (Mercy A. Kuo, 2023). სტეფან მეისტერი ცივი ომის შემდგომ პერიოდის ერთგვარ წყალგამყოფად მიიჩნევს 2022 წლის 24 თებერვალს, რამაც ევროკავშირი აიძულა მთლიანად გადაეხედა საკუთარი უსაფრთხოების არქიტექტურისათვის , ასევე ძირეულად შეეცვალა რუსეთთან ურთიერთობის ძირითადი საფუძვლები ენერგეტიკული და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და ახალი გზები მოეძებნა ენერგიის ალტერნატიული წყაროების შემოსატანად (STEFAN MEISTER, 2022). ბალაჯი აღნიშნავს კრემლის პოლიტიკის ესკალაციის საფუძვლებს და პუტინის განცხადებას იშველიებს, რის მიხედვით დასავლეთი წითელ ხაზებს სცდება და იგი ძალად ითრევს ნატოს რიგებში უკრაინას, ხოლო კრემლის რეჟიმი უკრაინაში სამხედრო ესკალაციას ამართლებს რუსეთის ეროვნული ინტერესების და ეთნიკური რუსების

უფლებების დარღვევის მოშველიებით (Balaji, 2023). ლუის სიმონი ევროკავშირის უსაფრთხოებაზე და თავდაცვაზე აკეთებს ძირითად აქცენტებს და ხაზს უსვამს ნატოს უდიდეს როლს შეკავების თუ ტერიტორიული თავდაცვის კუთხით (Luis Simón, 2023). უკრაინაში რუსეთის სამხედრო ესკალაციის შედეგებს საინტერესოდ აფასებს ფრანჩესკა მარია ვიდორი, იგი აღნიშნავს ევროკავშირში უკრაინელი 5 მილიონი მიგრანტის შესვლას და მისგან შექმნილ მნიშვნელოვან გამოწვევებს და ევროკავშირის მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს რუსული თვითმფრინავებისთვის წევრი სახელმწიფოების აეროპორტებზე წვდომის აკრძალვას თუ ზოგადად ევროკავშირის საჰაერო სივრცის გამოყენებას, რუსული საინფორმაციო სამსახურებისთვის სანქციების დაწესებას, რომლებიც დეზინფორმაციის კამპანიის წარმოებისათვის აქტიურად იყენებდა რუსეთი ევროპული გაერთიანების წევრი ქვეყნების წინააღმდეგ (Francesca Maria Vidori, 2022). კარლ პეტერ შვარცი ევროკავშირში ერთგვარ ,,ტროას ცხენად“ წარმოაჩენს უნგრეთის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ორბანს, რომელიც ფინეთის ნატოში გაწევრინებას არა თუ აფერხებდა, არამედ ბლოკავდა ევროკავშირის მიერ გამოყოფილ მილიარდობით ევროს დახმარებას გარკვეული დროს და სიმპათიებს გამოხატავდა რუსეთის მიმართ, ავტორი აღნიშნავს იმ კოლოსალური მოცულობის დახმარებას რაც უკრაინას გაეწია 2022-2023 წლებში, ომის დროიდან 2023 წლის იანვრამდე და ის 143 მილიარდ დოლარს აღწევს, დახმარების უდიდეს კონტრიბუტორად აშშ და ევროკავშირია, ხოლო უშუალოდ დასავლური დახმარება მიმართული არის უკრაინის სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად და რუსეთის შესაკავებლად (KARL-PETER SCHWARTZ, 2023). მიხაილ ზაბროდსკი აღნიშნავს რუსეთ-უკრაინის ომის სამხედრო ასპექტებს სადაც კრემლის ,,ბლიც-კრიგს“ და მის ჩაფიქრებულ გეგმას გვიხატავს ნათლად, რის მიხედით უკრაინის როგორც თავდაცვის სისტემა, ისე პოლიტიკური ელიტა უნდა უნდა გაენადგურებინა რუსულ არმიას და ქვეყნის ანექსია მოეხდინა, იგი ხაზს უსვამს სტრატეგიული ინიციატივის რუსეთიდან უკრაინის ხელში გადასვლაში და აღწერს იმ საფრთხეებს რაც რუსულ სამხედრო ლოჯისტიკურ სამსახურს უდგას (Mykhaylo Zabrodskyi, 2022). საერთაშორისო ექსპერტი ბენ ბერი რუსეთის არმიის მოდერნიზაციის 10-წლიან პერიოდს საინტერესოდ წარმოგვიდგენს და წარსულში 1968 წელს პრაღის, თუ 1979 წელს

ქაბულის აღების ოპერაციას ადარებს 2022 წლის თებერვალში რუსული არმიების შემოჭრას და შემდეგ უკუგდებას კიევის შემოგარენიდან, იგი ამერიკული სამხედრო დახმარების მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რომელთა ეფექტურმა გამოყენებამ რუსული ჯარებს უკან დახევა აიძულა, რუსეთმა ვერ ჩაატარა კომბინირებული სამხედრო ოპერაცია (Ben Barry, 2023).

თავი I. ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განვითარება XX-XXI საუკუნეში

1.1. ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძვლების მომზადება XX-XXI საუკუნის მიჯნაზე, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო-უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებამ გრძელი გზა განვლო და მის ჭეშმარიტად აღსაქმელად საჭიროდ მივიჩნიე ისტორიული ექსკურსის მოშველიება, რაც მოიცავს მისი დაფუძნების პერიოდიდან განვლილ გრძელ და რთულ ეპოქას. ხშირი და სისხლიანი კონფლიქტების დასრულების მიზნით, რომლის კულმინაციას მოჰყვა მეორე მსოფლიო ომი, ევროპელი პოლიტიკური ლიდერები იწყებენ ახალი უსაფრთხოების არქიტექტურის მშენებლობას, რასაც ჩვენ ვიცნობთ დღეს ევროკავშირის სახელით.

ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება, რომელიც დაარსდა 1951 წელს იყო პირველი ნაბიჯი ევროპის კონტინენტზე ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველსაყოფად. კვლევაში შემოგთავაზებთ ცივი ომის დასრულების და ევროპის კონტინენტზე 1990-იან წლებში ბალკანეთში გაჩაღებული ომების ანალიზს, ევროკავშირის სამშვიდობო პოლიტიკას და სამშვიდობო ინიციატივებს ბოსნია ჰერცეგოვინის, საქართველოს და უკრაინის მაგალითებზე დაყრდნობით, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების განსხვავებულ ინტერესებს, მიზნებს და სამომავლო გეგმებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით, დასასრულს შემოგთავაზებთ ევროკავშირის პოლიტიკის ცვლილებებს რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე.

დასავლეთ ევროპაში 1957 წელს რომის ხელშეკრულებით დაწყებულმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ 1980-იანი წლების შუაში ახალი იმპულსს მისცა ბიძგი და 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტის მიღების შემდგომ 1993 წლიდან გაუქმდა ევროგაერთიანების 12

წევრ სახელმწიფოს შორის საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და მუშახელის თავისუფალ გადაადგილებაზე შეზღუდვები (William R., Keylor, 2011).

1960-იან წლებში ევროპის ავტონომიური თავდაცვასთან საფრანგთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის მიერ გაჟღერებული ინიციატივებს მოჰყვა ფრანსუა მიტერანის მოკრძალებული მცდელობა, რათა ექსკლუზიურად ევროპული თავდაცვის სტრუქტურა შექმნილიყო, დე გოლის ინიციატივას ამერიკელები უარყოფითად შეხვდნენ, მათი მოსაზრებით ევროპული გაერთიანების ეს ინიციატივა ნატოს ფუნქციების დუბლირებას გამოიწვევდა და ალიანსის ერთიანობას შეარყევდა.

საბჭოთა კავშირის მოულოდნელმა დაშლამ, ცივი ომის დასრულებამ, ბერლინის კედლის დაცემისა და გერმანიის გაერთიანების შემდეგ რკინის ფარდის გაუჩინარებამ, თუ ვარშავის პაქტის გაუქმებამ ევროპული ერთობის მომხრეები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, წინა პლანზე გამოიკვეთა ევროგაერთიანებასა და სსრკ-ს ყოფილ სატელიტ ქვეყნებს შორის მომავალი ურთიერთობების საკითხი, შესაბამისად ევროგაერთიანების მდიდარი სახელმწიფოები ერთგვარი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, პრაგმატული თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპის დაბალგანვითარებული ქვეყნების მათ რიგებში მიღება ნაადრევად არ უნდა მომხდაიყო, ვინაიდან ტვირთად დააწვებოდა ევროპული გაერთიანების მმართველ სტრუქტურებს და ძირს გამოუთხრიდა მის ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას (William R., Keylor, 2011).

ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ევროპული საბჭოს ხელმძღვანელობით 1990 წლის ივნისში მოწვეულ იქნა ორი სამთავრობოთაშორისო კონფერენცია, ერთი ეკონომიკურ და სავალუტო კავშირზე, ხოლო მეორე პოლიტიკურ გაერთიანებაზე. კონფერენციები გაიხსნა 1990 წლის 15 დეკემბერს და ერთი წლის შემდეგ 1991 წლის დეკემბერში ქალაქ მაასტრიხტში ევროპულ საბჭოზე მიღწეული იქნა შეთანხმება ახალ ხელშეკრულებაზე. უშუალოდ ევროკავშირის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1992 წლის 28 თებერვალს, ძალაში შევიდა 1993 წლის პირველ ნოემბერს, მას შემდეგ რაც რატიფიცირებული იქნა ყველა წევრი

სახელმწიფოს მიერ და ევროპული გაერთიანება უფრო მეტად ინტეგრაციული ელფერის მქონე ევროკავშირით შეიცვალა.

აღსანიშნავია, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულება სახალხო რეფერენდუმებისა და საპარლამენტო რატიფიკაციების პროცესში სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდებოდა წევრ სახელმიფოებში. მაასტრიხტის ხელშეკრულება სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ დებულებებთან ერთად მოიცავდა ასევე ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რის უზრუნველსაყოფადაც ითავლისწინებდა შესაბამისი სამხედრო ინსტრუმენტის შექმნას. ამ პოლიტიკით ევროკავშირი თავს დაიზღვევდა სამომავლოდ, ვინაიდან საბჭოთა კავშირის საფრთხის გაუჩინარების გამო ლოგიკურად ევროპის კონტინენტს ამერიკული სამხედრო კონტინგენტიც დატოვებდა, რაც თავის დროზე II მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ ამერიკული ჯარის განლაგების მიზეზი გახდა.

ევროკავშირის მიზნები და იდეალები მის საზღვრებში შემდეგია: მშვიდობიანი, ერთიანი და აყვავებული ევროპა, აღნიშნულ ორგანიზაციას სურს ხელი შეუწყოს მშვიდობის და ეროვნული ღირებულებების დაცვას, მოქალაქეების კეთილდღეობას, შესთავაზოს საკუთარ მოქალაქეებს უსაფრთხოება და სამართლიანობა შიდა საზღვრების გარეშე, ხოლო გარე საზღვრებზე მიიღოს შესაბამისი ზომები თავშესაფრის მიმღებთა და იმიგრაციის დარეგულირების, თუ დანაშაულის პრევენციისა და მასთან ბრძოლის კუთხით, მიაღწიოს მდგრად განვითარებას, დაბალანსებულ ეკონომიკურ ზრდას, ფასების სტაბილურობას, მაღალი კონკურენტუნარიან საბაზრო ეკონომიკას მოქალაქეების დასაქმებით და სოციალური დაცვის უზრუნველყოფით. ხელი შეუწყოს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროგრესს, აღმოფხვრას სოციალური გარიყულობა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლით ხელი შეუწყოს სოციალური სამართლიანობის დაცვას. გაამლიეროს ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, პატივი სცეს მის მდიდარ კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებას. რაც შეეხება ევროკავშირის ღირებულებებს შემედეგია: თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა.

თანამედროვე მსოფლიოში ევროკავშირის ინტერესების ფართო დიაპაზონს რაც შეეხება, მისი მიზანია ხელი შეუწყოს მშვიდობასა და უსაფრთხოებას, წვლილი შეიტანოს ხალხთა შორის სოლიდარობასა და ურთიერთპატივისცემაში, წაახალისოს თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობის განვითარება, აღმოფხვრას სიღარიბე და ადამიანის უფლებების დაცვა განახორციელოს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური წესების მკაცრი დაცვით.

1989 წელს დაწყებულმა მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა სამხედრო ვალდებულებების შემცირებისაკენ უბიძგა ამერიკას და ექსკლუზიურად საერთო ევროპული თავდაცვის სისტემის მიმართ მისი მხრიდან ტრადიციული ეჭვებიც გაიფანტა, ამასთან აღსანიშნავია, რომ ევროპული უსაფრთხების სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი დაემთხვა ნატოს იდენტობის ღრმა კრიზისს (William R., Keylor, 2011). საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანი და გერმანიის კანცლერი ჰელმუთ კოლი ფრანგულ-გერმანული სამხედრო ძალების ბირთვის გარშემო ევროპული არმიის შექმნის ძველ გეგმას დაუბრუნდა და 1992 წლის მაისში ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას 35 000-იანი ევროპული არმიის ე.წ. **„ევროკორპის“** შექმნის შესახებ, ამავე დროს ბელგიის მხრიდან გამოიხატა მზაობა მექანიზირებული დივიზიის გამოყოფაზე და 1993 წლის ნოემბერში სამმა სახელმწიფომ ქალაქ სტრასბურგში ორგანიზაციის შტაბბინა დააარსა, რასაც შემდგომ შეუერთდა ესპანეთი და ლუქსემბურგი.

ევროკორპის პირველი ოფიციალური წვრთნები 1995 წლის ნოემბერში გერმანული, ფრანგული, ესპანური, ბელგიური და ლუქსემბურგული სამხედრო ქვედანაყოფების მონაწილეობით ჩატარდა. გერმანიამ 1997 წელს ორი ორგანიზაციის შერწყმის ინიციატივა წამოაყენა იმ მიზნით, რომ დასავლეთევროპული კავშირი ევროკავშირის სამხედრო კომპონენტი გახდებოდა, თუმცა ინიციატივა წევრი სახელმწიფოებიდან დაბლოკეს: დიდმა ბრიტანეთმა, ავსტრიამ, ირლანდიამ, შვედეთმა და ფინეთმა (William R., Keylor, 2011).

XX საუკუნის ბოლოს ევროპის კონტინენტზე ეთნიკური ნაციონალიზმის ახალი ტალღის ყველაზე დიდი მსხვერპლი აღმოჩნდა იუგოსლავიის მრავალკონფესიური,

მრავალენობრივი და მრავალეროვნული სახელმწიფოს მოსახლეობა, რომელიც მოიცავდა ექვს ფედერალურ ერთეულს და ესენია: სერბეთი, მაკედონია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, სლოვენია და ხორვატია, ასევე ორ ავტონომიურ რეგიონს კოსოვოს და ვოევოდინას, დაპირისპირებულ მხარეებს შორის მწვავე დაპირისპირება კი გაგრძელდა ათი წელზე მეტ ხანს (William R., Keylor, 2011).

ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროპის კონტინენტზე რეგიონული უსაფრთხოების ეფექტური მართვის მიმართულებით საკუთარ შესაძლებლობათა პირველ გამოწვევას საწყის ეტაპზე სათანადოდ ვერ გაართვა თავი ევროკავშირმა ყოფილ იუგოსლავიაში აალებული კონფლიქტის დასარეგულირებლად, შესაბამისი ვერც სამხედრო და ვერც დიპლომატიური გზები ვერ გამონახა, სწორედ ნატო და არა ევროკორპი, ან დასავლეთევროპული კავშირი იყო ის ორგანიზაცია, რომელმაც საჰაერო ძალების ეფექტური გამოყენებით დაპირისპირებულ მხარეებს ომის შეწყვეტა აიძულა, ხოლო შემდეგ სამშვიდობო შეთანხმებაზე ზედამხედველობაც თავის თავზე აიღო.

ევროკავშირის სამხედრო ძალებმა პირველი მცირემასშტაბიანი წარმატებული ოპერაციები ყოფილ იუგოსლავიაში ჩაატარა 2003 წელს ბოსნია და ჰერცეგოვინასა და მაკედონიაში, სადაც ნატოს და გაეროს მისიები ჩაანაცვლა, ამავე დროს ნატოს ევროპული ქვეყნების თავდაცვაზე გაწეული ერთობლივი ხარჯები აშშ-ს გაწეული ხარჯის მხოლოდ ნახევარ უდრიდა, ხოლო სსრკ-ს დაშლის შემდეგ, XX საუკუნის ბოლოს ევროკავშირის ქვეყნების მიერ საკუთარი თავდაცვის უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები 22%-ით იქნა შემცირებული (William R., Keylor, 2011).

ბოსნიის კრიზისის დროს, როდესაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გამწვავდა ვითარება ევროკავშირმა ვერ შეძლო ადამიანთა ჟლეტის შეჩერება და ცხადად დადასტურდა, რომ მისი ერთიანი თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკა ჯერ კიდევ შორს იყო ერთიანი სავალუტო პოლიტიკის წარმატებისაგან.

იუგოსლავიაში დაწყებულმა ომების სერიამ საერთაშორისო საზოგადოებას კონფლიქტის ყველა შესაძლო სახეობა წარუდგინა და ესენი იყო: სამოქალაქო ომები,

სეცესიის ანუ ომი გამოყოფის და სუვერენეტიტის აღიარების თუ დამოუკიდებლობის მისაღწევად, სახელმწიფოთაშორისი ომები და ტერიტორიის დაპყრობები, რასაც მოჰყვა ტრადიციული სამშვიდობო ოპერაცია ხორვატიაში, ჰუმანიტარული ინტერვენცია ბოსნიაში, მშვიდობის იძულება სერბეთის წინააღმდეგ, თუ პრევენციის მცდელობა მაკედონიაში (ზურაბ აბაშიძე, 2012).

კრიტიკული საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების გამოწვევების, რომელთა წინაშეც იდგა ევროკავშირი 1990-იან წლებში არის დაძაბული თანაარსებობის შედეგი უაღრესად ინსტიტუციონალიზებულ დასავლეთსა და მის პერიფერიაზე გაშლილ რეგიონებს შორის. ბალკანეთში ისტორიული მეტოქეობის ტრადიციის გათვალისწინებით იუგოსლავიის კონფლიქტმა წარმოაჩინა ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განსაკუთრებული მოთხოვნა.

1991 წელს ევროკავშირის თავჯდომარეობისას ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟაკ პუსმა განაცხადა ,,ეს არის ევროპის საათი და არა ამერიკის“ (Gompert 1994) ეს სიტყვები დიდად ასახავდა საზოგადოებრივ აზრს 1991-1992 წლებში, დრო როდესაც ევროპულმა თანამეგობრობამ მტკიცე ვალდებულება აიღო მედიაცია გაეწია და თავიდან აეცილებინა კრიზისი იუგოსლავიაში, ნდობა სულ მალე იმედგაცრუებამ შეცვალა ევროკომისიის პოლიტიკის არაეფექტურობის გამო, ვინაიდან ევროკავშირი ისეთ არასამხედრო საშუალებებს მიმართავდა როგორიც იყო სანქციები, ჯილდოები, თუ წახალისებები. ევროკავშირის მხრიდან რეგიონული მშვიდობისმყოფელის და კონფლიქტის შუამავლის ფუნქციის ეფექტური შესრულებას ხელს უშლიდა კონტრასტული პოლიტიკური შეხედულებები, შეზღუდული რესურსები და განსაკუთრებით მისი მწირი სამხედრო განზომილება.

ბალკანური კრიზისის პირველი 6 თვის განმავლობაში 1991 წელს ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული დიპლომატია საკმაოდ პროსერბული იყო, მაშინ როდესაც გერმანია უფრო მეტად მგრძნობიარე იყო სლოვენიის და ხორვატიის პრეტენზიების მიმართ,

შემდგომ ეს პოლიტიკა შეიცვალა. 1992 წლის იანვარში ევროგაერთიანებამ სლოვენია და ხორვატია ოფიციალურად აღიარა სუვერენულ სახელმწიფოებად (William R., Keylor, 2011).

ევროპის კონტინენტზე ბალკანეთი თუ ყველაზე რთულ რეგიონად ითვლებოდა, ბოსნია თავისი პრობლემებით მაინც გამონაკლისს წარმოადგენდა. ერთიანი იუგოსლავიის არსებობის ბოლო ათწლეულში მოსახლეობის თითქმის 45% ბოსნიელი მუსლიმები იყვნენ, 32% სერბები, ხოლო დაახლოვებით 18% ხორვატები, დანარჩენი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. 1992 წლის 1 მარტში მუსლიმებმა და ხორვატებმა ჩაატარეს რეფერენდუმი და მხარი დაუჭირეს ბოსნია და ჰერცეგოვინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას რასაც ბოიკოტი გამოუცხადეს ქვეყანაში მცხოვრებმა სერბებმა, 6 აპრილს ევროკავშირმა აღიარა ბოსნიის დამოუკიდებლობა. ეს იყო ომი სადაც ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა, ქვეყანაში მცხოვრები სერბები ცდილობდნენ გაეკონტოლებინათ სერბებით დასახლებული რეგიონები, შედეგად დაუპირისპირდნენ ადგილობრივ ხორვატებს და მუსლიმებს, ხორვატები ცდილობდნენ იმ ადგილების კონტროლს სადაც ცხოვრობდნენ მათი თანამემამულეები, შედეგად დაუპირისპირდნენ მუსლიმებს ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ სერბებს, ბოსნიაში მცხოვრებ ხორვატებს ცოცხალი ძალით და შეიარაღებით ზურგს უმაგრებდა ხორვატიის რესპუბლიკა (ზურაბ აბაშიძე, 2012).

შედეგად საერთაშორისო პოლიტიკაში დამკვიდრდა ტერმინი ,,ეთნიკური წმენდა“, რაც თავის მხრივ მოიცავდა სერბი მუსლიმების განდევნას საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან, მასობრივ მაროდიორობას, ომის წარმოების წესების შესახებ ჟენევის კონვენციის წესების დარღვევას, თუ უდანაშაულო მოქალაქეების ხოცვას და ჯგუფურ გაუპატიურებას (ზურაბ აბაშიძე, 2012).

1993 წელს გაეროს წარმომადგენლის, ამერიკელი დიპლომატის საირუს ვენსის და ევროგაერთიანების წარმომადგენლის ლორდ ოუენის მიერ ერთობლივად წარმოდგენილი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ბოსნია-ჰერცეგოვინის ათ ავტონომიურ პროვინციად დაყოფას ბოსნიელმა სერბებმა არ მიიღეს. ევროკავშირის მხრიდან გაწეულმა დახმარებამ ბოსნია-ჰერცეგოვინის მიმართ, რაც ატარებდა ჰუმანიტარული ოპერაციის

ფორმას არ შეწყვეტილა მთელი ომის განმავლობაში, ომმა ორ მილიონზე მეტი ბოსნიელი ლტოლვილად აქცია და ქვეყანაში თითქმის მთელი ინფრასტუქტურის განადგურება გამოიწვია (William R., Keylor, 2011). ამერიკელი დიპლომატის რიჩარდ ჰოლბრუკის მედიატორობით დასრულდა ბოსნიის კრიზისი, ხოლო 1995 წლის 12 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, 21 ნოემბერს დეიტონის შეთანხმებას პარაფირება გაუკეთეს სერბეთის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა, ხორვატიის პრეზიდენტმა ფრანიო ტუჯმანმა და ბოსნიის პრეზიდენტმა ალია იზეტბეგოვიჩმა. ოფიციალურად შეთანხმებას ხელი სამივე ლიდერმა მოაწერა 14 დეკემბერს ელისეს სასახლეში, ქალაქ პარიზში. ომის დასრულების შემდეგ ევროკომისიამ მსოფლიო ბანკთან ერთად მოაწყო 1995 წლის 21 და 22 დეკემბერს დონორთა პირველი კონფერენცია რათა მომხდარიყო ომის ზარალის შეფასება და მომზადებულიყო ბოსნიის განადგურებული ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი რეკონსტრუქციის გეგმა, ევროკომისიის ინიციატივით უმსხვილესი დონორები კვლავ შეიკრიბნენ ბრიუსელში 1996 წლის აპრილში, 1997 წლის ივლისსა და 1998 წლის მაისში და საბოლოოდ 50-ზე მეტმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი აქტიური მონაწილეობა მიეღო კოორდინირებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ბოსნიაში განსახორციელებლად, რასაც ზედამხედველობდა ევროკომისიის უმაღლესი წარმომადგენლის ოფისი (Isabelle Brusselmans, 1998).

1998 წლის 4 დეკემბერს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრამ ტონი ბლერმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა სენ-მალოში ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს, რის მიხედვითაც ევროკავშირს ნატოსგან განცალკევებული, დამოუკიდებელი სამხედრო შესაძლებლობების განვითარებისაკენ მოუწოდეს, სახელი კი ,,ევროპული უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა“ (ESDP) შეურჩიეს.

2003 წელს ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიაში ნათქვამია, რომ შიდა და გარე უსაფრთხოების ასპექტები განუყოფლად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ევროკავშირის უსაფრთხოების დიაპაზონი მოიცავს სურსათის და საავიაციო უსაფრთხოებიდან დაწყებული საერთაშორისო მშვიდობასა და სტაბილურობამდე.

2004 წელს სამშვიდობო მისიის მანდატი ევროკავშირმა გადაიბარა ბოსნია და ჰერცეგოვინაში, თუმცა ქვეყანაში დარჩა ამერიკული ჯარის მცირერიცხოვანი კონტინგენტი, რათა ომის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები დაეკავებინა და ბოსნიის არმია გაეწვრთნა (ბრუს ჯენტლესონი, 2015).

ევროკავშირმა ბოსნიაში არსებულ კონფლიქტში საწყის ეტაპზე წარუმატებლობის მიუხედავად, საბოლოოდ შეძლო კრიზისის მშვიდობიანი მოგვარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა და შეასრულა შუამავლის როლი, წარმოაჩინა მიუკერძოებლობა მოლაპარაკებების წარმოებისას, დაპირისპირებული ორი ერთეული ბოსნია და ჰერცეგოვინის ფედერაცია (ხორვატულ-ბოსნიური) და სერბეთის რესპუბლიკა ,,სრპსკა“ (მართლმადიდებელი სერბები) რომლებიც ქმნიან ახალ სახელმწიფოს მათ შერიგებას მიაღწია, ბოლოს კი მისთვის კოლოსალური ფინანსურ დახმარებაც დაურთო, ეს იყო ევროკავშირის თანამიმდევრული და ეფექტური საგარეო პოლიტიკის გატარების შედეგი, რამაც საბოლოოდ კონფლიქტის დარეგულირებას შეუწყო ხელი და ბალკანეთის რეგიონში ,,ცივი მშვიდობა“ იქნა უზრუნველყოფილი.

1.2. ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკა 2004-2008 წლებში და საქართველო

1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლამ საერთაშორისო საზოგადოება სამართლებრივი, პოლიტიკური, თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დილემის წინაშე დააყენა. იმავე დროს თხუთმეტი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოდან არაერთი ქვეყნის სტაბილურობას ეთნიკური ნაციონალიზმის საფრთხე ემუქრებოდა, ვინაიდან საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა ,,დამფუძნებელმა მამა"-მ იოსებ ჯუღაშვილმა (,,სტალინი") თავის დროზე სსრკ-ს შიდა ადმინისტრაციული საზღვრები ისე გაავლო, რომ თითოეულ რესპუბლიკაში ერთი დიდი ეთნიკური უმცირესობა მაინც მოხვედრილიყო, რაც კრემლს მომავალში საშუალებას მისცემს ერთმანეთს წაკიდოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები ,,დაყავი და იბატონეს" პრინციპის შესაბამისად, ყოველივე ცხადია საფუძვლებს შეუქმნიდა მის მიერვე ,,მართულ ქაოსს" (William R., Keylor, 2011). სსრკ-ს მარწუხებიდან ახლად გათავისუფლებული საქართველო 1992-1993 წწ. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები სეპარატისტების მხრიდან დიდი გამოწვევების წინაშე დადგა, რაც საბოლოოდ რუსეთის მხრიდან მართულ სისხლიან პოლიტიკურ კონფლიქტში გადაიზარდა და ქვეყანას მოუტანა დიდი ადამიანურ მსხვერპლთან, თუ მატერიალური ზარალთან ერთად 300 000-მდე დევნილი, ხოლო ქვეყნის ორ რეგიონში რუსული ჯარები ,,სამშვიდობო ძალები"-ს სტატუსით განლაგდა, რუსეთმა კონფლიქტი დროებით ,,გაყინა", აღსანიშნავია, რომ მოსკოვის მხრიდან არცერთი მნიშვნელოვანი სამშვიდობო ინიციატივა არ გაჟღერებულა 1993-2008 წლებში რაც ხელს შეუწყობდა საქართველოში კონფლიქტების დარეგულირებას, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ევროკავშირის და ნატოს გაფართოვება მოხდა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ამ გაფართოვებამ კი უკეთესობისაკენ შეცვალა ევროპის კონტინენტის რუკა და უფრო დემოკრატიული და უსაფრთხო გახადა, ვიდრე ოდესმე მისი მთელი არსებობის ისტორიაში (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

სსრკ-ს დაშლის შემდეგ მოსკოვის პოლიტიკური მიზანი ერთი მხრივ ენერგომატარებლების ცალმხრივად გაკონტროლებისკენ იყო მიმართული, რაც ევროპის

ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას ეჭვის ქვეშ აყენებდა და მასზე დამოკიდებულებას კიდევ უფრო ზრდიდა, ხოლო მეორე მხრივ პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე კონტროლის მექანიზმების განვითარებას მდიდარი რესურსების, თუ ფარული ჰიბრიდული ომის ტაქტიკების გამოყენებით, ეროვნული უმცირესობებზე გავლენის მოხდენით და სეპარატისტული ანკლავებს შექმნით, რისი მდიდარი მემკვიდრეობაც მას ერგო სსრკ-სგან (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

კრემლის პოლიტიკა ჩამოყალიბდა ამ ხნის განმავლობაში როგორც ხისტი, ანტიდასავლური და რევიზიონისტული, ვინაიდან მისი ავტორიტარული ხელისუფლება საფრთხედ მიიჩნევდა საკუთარ საზღვრებთან დემოკრატიული სახელმწიფოების სარტყლის შექმნას, რომელიც დაცული იქნებოდა ნატოს ქოლგის ქვეშ, ამავდროულად ეს ქვეყნები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები იყვნენ და ერთიანი, მშვიდობიანი განვითარების სივრცეს ქმნიდნენ, რუსეთი დასავლურ ღირებულებებსა და პრინციპებს საკუთარი რეჟიმისათვის მიუღებლად მიიჩნევდა და მასთან პირდაპირ სამხედრო დაპირისპირების ნაცვლად ზეწოლის იარაღად იყენებდა ენერგომატარებლებს, რომლის ექსკლუზიური მიმწოდებელი იყო გასული ათწლეულების განმავლობაში, ასევე ევროკავშირთან დაახლოვების მოსურნე ქვეყნებზე იყენებდა ზეწოლის სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მექანიზმებს, მაგალითად ეკონომიკური ებარგოს დაწესება 2006 წელს საქართველოს წინააღმდეგ, წინა წლებში და მიმდინარე წელს სამხედრო წვრთნები ჩრდილოეთ კავკასიაში ,,კავკასია 2008“ (რონალდ დ. ასმუსი, 2010). ქვეყანას ედუარდ შევარდნაძე მართავდა ვიდრე 2003 წლის 23 ნოემბერს არ დასრულდა ,,ვარდების რევოლუციით“, რასაც მიესალმა დასავლეთი, საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო, რევოლუციამ ქვეყანაში მნიშვნელოვნად დააჩქარა პოლიტიკური პროცესები, გადაჭრა ფუნდამენტური საკითხები და კარი გაუღო ახალ შესაძლებლობებს, დიდი გავლენა იქონია ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებზეც (მაგ. უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუცია 2004 წელს), მოსკოვში ამ რევოლუციებში მხოლოდ საფრთხე დაინახეს და მას რუსეთისათვის მომაკვდინებლ საფრთხოდ წარმოაჩენდნენ, ვინაიდან საქართველოსა და უკრაინაში განვითარებული პროცესები ეჭვის ქვეშ აყენებდა კრემლის გავლენებს ყოფილ

სამეზობლოში. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ყველაზე ქმედითი ბერკეტი ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის გაყინული კონფლიქტები იყო, ხოლო დესტაბილიზაციის შესაძლებლობა ასევე აფრთხობდა საქართველოს დასავლელ მოკავშირეებსაც, ვინაიდან დიდი იყო ლოკალურ ეთნოკონფლიქტში ჩათრევის შესაძლებლობა, რომლის უკან ბუნებრივია რუსეთი იდგა (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჩამოყალიბება 2004 წელს დაიწყო ევროკავშირის ყველაზე დიდი გაფართოვების შემდეგ, რამაც გამოიწვია ევროკავშირის საზღვრების მნიშვნელოვანი ცვლილება და არსებულ 15 წევრს 10 ახალი წევრი დაემატა უპირატესად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან (გამონაკლისი იყო კვიპროსი), აქედან გამომდინარე ევროკავშირმა გადაწყვიტა უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირები დაემყარებინა თავის აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრებთან, რაც ჯამში მოიცავდა 16 სახელმწიფოს და ესენია: სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი - ალჟირი, ეგვიპტე, მაროკო, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, პალესტინა , სირია და ტუნისი და აღმოსავლეთ სამეზობლო - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელორუსია და მოლდავეთი.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველო აქტიურად ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში. 2006 წლის 14 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (EPN), n.d.).

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტის გაჩაღებას წინ უსწრებდა კრიზისული ფაზები, რაც გამოიხატა რუსეთის ნეოიმპერიული პოლიტიკის გატარებასა და ხისტი სამხედრო ძალის გამოყენებაში. კონკრეტულად საქართვლოს ორ სეპარატისტულ რეგიონში იგი უკანონოდ ახდენდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის აღდგენას, მათ შორის აფხაზეთში რკინიგზის აღდგენას სარკინიგზო ჯარების მეშვეობით, მეტ შეიარაღებას აწვდიდა სეპარატისტებს და ამზადებდა პლაცდარმს მოსალოდნელი ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციისათვის. სეპარატისტული ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსი სეპარატისტები რუსების წაქეზებით საკუთარ ტაქტიკას მიმართავდნენ, რაც

მსოფლიოსთვის კარგადაა ცნობილი ახლო აღმოსავლეთის პრაქტიკიდან გამომდინარე, მაგ. ღაზის სექტორში მოქმედი ,,ჰამასი“ დღემდე მიმართავს ამ ტაქტიკას რათა გამოიწვიოს საერთაშორისო საზოგადოების აღშფოთება, რაც თავის მხრივ გულისხმობს მშვიდობიანი მოსახლეობის ფარად გამოყენებას (რონალდ დ. ასმუსი, 2010). რუსეთის დასაყრდენი სეპარატისტულ ცხინვალის რეგიონში სწორედ ედუარდ კოკოითი იყო, ის პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ჯერ კიდევ 2001 წელს დასვა მართულ მარიონეტად კრემლის რეჟიმმა, იგი იყო ნასამართლევი და ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში შემჩნეული, ასევე აღსანიშნავია რომ იგი თბილისთან მშვიდობიანად კონფლიქტის გადაჭრის წინააღმდეგი იყო, ხოლო ის სეპარატისტი პოლიტიკოსები ვინც მოლაპარაკებების სურვილს გამოთქვამდნენ მაშინვე ჩამოაშორეს ხელმძღვანელ თანამდებობებს (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

რუსულ სამხედრო აგრესიას წინ უსწრებდა საინფორმაციო ომი, რომელიც დაიწყო 2008 წლის ომამდე გაცილებით ადრე, თავის უმაღლეს წერტილს კი მიაღწია აგვისტოს მოვლენებისას და გრძელდება დღემდე სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით (ოლეგ პანფილოვი, 2018).

პოლიტიკური შეცდომები რაც დასავლეთმა დაუშვა საქართველოს მიმართ იყო ერთ-ერთი ფაქტორი კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, მიუხედავად მოსკოვის გაფრთხილებისა - საპასუხოდ სამაჩაბლოს და აფხაზეთის აღიარების, მეორე ფაქტორი 2008 წლის 2-4 აპრილის ბუქარესტის სამიტი იყო, როდესაც საქართველომ და უკრაინამ ვერ მიიღო სამოქმედო გეგმა ე.წ. ,,მაპი“, ნატოს სკეპტიკურად განწყობილმა ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებს სათავეში ედგა გერმანია, ასევე მხარდაჭერაზე უარი განაცხადა საფრანგეთმა და იტალიამ, შედეგად დროებით შექმნილმა ძალის ვაკუუმმა რუსეთს ორმაგი წინაპირობა შეექმნა და ,,მწვანე შუქი“ აუნთო საქართველოს დასასჯელად, რომელიც გამოკვეთილად პროდასავლურ და ანტირუსულ პოლიტიკას ატარებდა ბოლო წლების განმავლობაში (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

რუსეთის გეგმები სრულად აშკარა იყო, კრემლის პოლიტიკა ორი სეპარატისტული ანკლავის თანდათანობით დე-ფაქო ანექსიას ახოციელებდა და თან ამოწმებდა დასავლეთის რეაქციას გაბედავდა, თუ არა საქართველოს შეგულიანებას საპასუხო ნაბიჯების გადასადგმელად, საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა აშშ-ს და ევროკავშირს მიიჩნევდა სანდო და ერთგულ მოკავშირედ და რუსეთის მხრიდან გამოხატულ ხისტ პროვოკაციებს მოთმინებით აკვირდებოდა, თუმცა რუსეთი ფაქტობრივად საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ყველა კანონს და წესს არღვევდა, მისი პოლიტიკა და კუნთების თამაში მიმართული ქვეყნის დანაწევრებისაკენ რაც განხორციელდა კიდეც ოსი სეპარატისტების ხელით, რომლებიც ქართულ სოფლებს პროვოკაციულად ბომბავდნენ მძიმე არტილერიის გამოყენებით და ხელს ამ ყველაფერში უწყობდა რუსული მხარე და იქ განლაგებული ,,სამშვიდობო ძალების“ ეგიდით მყოფი რუსული სამხედრო ძალები, შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის გენერალ მარატ კულახმეტოვის ხელმძღვანელობით, რომელიც პირნათლად ასრულებდა კრემლის დავალებებს (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

ოსი სეპარატისტების მხრიდან გამოვლენილი პროვოკაციების და რუსეთის მხრიდან წარმოჩენილი აშკარა აგრესიის საპასუხოდ 2008 წლის 7 აგვისტოს 23:30 საათზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამარი მოქმედებების დაწყების ბრძანება გასცა ქართული სოფლების დაცვის მიზნით, ვინაიდან რუსული 58-ე არმიის ქვედანაყოფები უკვე შემოჭრილი იყო ჯავის რაიონში ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან და სერიოზული დილემის წინაშე აყენებდა საქართველოს იმჟამინდელ პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას ჯარების გამოყენების, თუ კონფლიქტის რეგიონის მიმდებარედ შეჩერების შესახებ, ვინაიდან დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები ქართველების ეთნიკური წმენდის მაღალი რისკი არსებობდა სეპარატისტული ოსების დე-ფაქტო ბანდფორმირებების მიერ, რომელთაც ზურგს უმაგრებდა უკანონოდ შემოჭრილი რუსეთის სამხედრო ძალები (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

რუსეთის ფედერაციამ 7-დან 12 აგვისტომდე საქართველოში 40 000-მდე ჯარისკაცი გადაისროლა, დაახლოვებით 20 000 ჯარისკაცი ცხინვალის რეგიონში შემოიჭრა როკის

გვირაბის მეშვეობთ, ხოლო მეორე ნახევარი აფხაზეთში შეიყვანა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსული ჯარები რიცხოვნებით მინიმუმ სამჯერ აღემატებოდა ქართულ ჯარს, რაც არაპროპორციული ძალის გამოყენების მანიშნებელი და რუსი ,,მშვიდობისმყოფელების“ და საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით შენიღბული (რონალდ დ. ასმუსი, 2010). რუსეთ-საქართველოს ომი საეჭვოდ დაემთხვა პეკინში მიმდინარე ოლიმპიურ თამაშებს, სადაც იმყოფებოდა აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და სხვა დასავლელი პოლიტიკური ლიდერები. ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე პარიზი გამოვიდა ინიციატივით, რასაც რუსეთის იმჟამინდელი პრეზინდენტი დიმიტრი მედვედევი დადებითად გამოეხმაურა და მოლაპარაკებებში ჩაერთო უშუალოდ საფრანგეთის პრეზიდენტი (საფრანგეთი 2008 წლის აგვისტოში ევროკავშირის თავჯდომარე ქვეყანა იყო) ნიკოლა სარკოზი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი, რაც საბოლოოდ ცეცხლის შეწყვეტის ექვს პუნქტიანი ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა, აღებულ ვალდებულებებს დღემდე არ ასრულებს რუსული მხარე (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი მთელს მსოფლიოში ელვის სისწრაფით გახმაურდა, მან ერთგვარი შოკი მოჰგვარა კოლექტიურ დასავლეთს, რომელიც დარწმუნებული იყო ომების ხანის დასრულებით ევროპის კონტინენტზე, სრულად უგულებელჰყო მოსკოვს და თბილისს შორის მოახლოებული კრიზისის ნიშნები. ომმა შეარყია რწმენა რომ ე.წ. რკინის ფარდის მოშლიდან ორი ათწლეულის შემდეგ ევროპაში დემოკრატულმა მშვიდობამ გაიმარჯვა, ხოლო სისხლისღვრის გამომწვევი გეოპოლიტიკური მეტოქეობა და გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა წარსულს ჩაბარდა, არ მოხდა რუსეთთან ურთიერთობის გადაფასება, მართალია რუსეთი დასავლურ სანქციებს გადაურჩა, თუმცა მის საერთაშორისო რეპუტაციას მაინც მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა. ევროკავშირის ანგარიში უგულებელყოფს რუსული ვერსიის დასტურს, რომლის მიხედვითაც ქართულმა მხარემ ეთნიკური ოსების გენოციდი მოაწყო ომის დღეებში, როგორც უსაფუძვლო და ფაქტობრივ მტკიცებულებებს მოკლებული, ასევე არ იზიარებს კრემლის ნარატივს ,,ჰუმანიტარული ინტერვენციის“ თაობაზე. რუსეთი თავისი აგრესიული

საგარეო პოლიტიკით არა მხოლოდ საქართველოს დასავლეთისაკენ სწრაფვას ეწინააღმდეგებოდა, როდესაც ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა საგანგებო ინტერესებისა და გავლენის ახალ სფეროებზე პოსტსაბჭოთა სამყაროში, იგი აპროტესტებდა ევროპის უსაფრთხოების სისტემის იმ წესებს, რომელიც კრემლის შეხედულებით სამომავლოდ კანონიერ საფუძვლებს უმზადებდა ნატოს და ევროკავშირის გაფართოვებას მის საზღვრებთან, 2008 წელს დაწყებული ომიც მოსკოვის მხრიდან იმის განაცხადი იყო, რომ იგი უგულებელყოფდა ევროპული უსაფრთხოების სისტემის ახალ ნორმებს (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

ერთმანეთთან რომ შევადაროთ ბალკანეთის და კავკასიის კონფლიქტები, თუ დაინტერესება დიდი იყო დასავლეთის მხრიდან ბოსნია-ჰერცეგოვინის, მაკედონიის, კოსოვოს, თუ ხორვატიის მიმართ, რაც გამოიხატა ევროკავშირის და აშშ-ს მიერ ძალისხმევის არ დაშურებით რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის მისაღწევად, ამის საპირისპიროდ საქართველოში მომხდარ კონფლიქტებს მსგავსი ყურადღების და რესურსების მხოლოდ მცირე ნაწილი დაეთმო, მიუხედავად გაეროს და ეუთოს მისიების დაფუძნების მათ არავითარი მექანიზმი და ძალა არ გააჩნდათ კავკასიის რეგიონში მშვიდობის და ხანგრძლივი სტაბილურობის შესანარჩუნებლად (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

ევროკავშირი მუდამ საუბრობდა ევროპის კონტინენტის ერთიან უსაფრთხოებაზე, თუმცა გეოგრაფიულ კომპონენტს მნიშვნელოვანი კორექტივი შეჰქონდა და იდეის ხორცშესხმა ვერ ხერხდებოდა. დასავლეთისათვის ბალკანეთის ამბები მეტად საყურადღებო იყო, ვიდრე მოვლენები რომელიც სამხრეთ კავკასიაში ვითარდებოდა. საერთაშორისო საზოგადოებას, უპირველესად აშშ-ს და ევროკავშირს ისეთი მასშტაბის სამშვიდობო ღონისძიებები, რომ განეხორციელებინა რაც ბალკანეთში შეძლო, რუსეთს შესაძლოა აშკარა სამხედრო აგრესია ვერ განეხორციელებინა საქართველოს წინააღმდეგ.

ევროპის ისტორია გვასწავლის, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებზე უარის თქმა, იმ იმედით, რომ ავტოკრატიული რეჟიმების კეთილგანწყობას მოვიპოვებთ შორსმიმავალი სტაბილურობის მისაღწევად ვერ გამოდგება, რუსეთის გამოწვევების

საპასუხოდ კი ევროკავშირის პოლიტიკურმა ლიდერებმა უნდა გამოავლინონ სტრატეგიული ხედვა, რათა ახალ გამოწვევებს მყისიერი პასუხი გასცენ და ევროკავშირთან ერთად ნატოს უსაფთხოების ქოლგა გააფართოვონ მის ფარგლებს გარეთ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ (რონალდ დ. ასმუსი, 2010).

2008 წლის რუსეთ-საქართვლოს ომი ამჟამად ფართოდ არის აღიარებული, როგორც ერთგვარი გარდამავალი ეტაპი რუსეთსა და დასავლეთს შორის, პოსტსაბჭოთა თანამშრომლობის ეპოქიდან ცივი ომის ახალ საფეხურზე ასასვლელად, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო დასავლეთის მხრიდან გამოწვეული ნელი და სუსტი რეაქციით, ევროკავშირის და ნატოს პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები კრემლის პროვოკაციულ ნაბიჯებს საქართველოს მიმართ ხშირად უგულებელყოფდნენ და საკმარის რეაგირებას არ ახდენდნენ, რათა ერთგვარი პრევენცია მოეხდინათ, თუ სათანადო პასუხი გაეცათ მისი აგრესიული ქმედებებისათვის ე.წ. ,,ახლო საზღვარგარეთში“ (Peter Dickinson, 2021).

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებული ექვსპუნქტიანი შეთანხმების შემდეგ, რომელმაც დაასრულა აგვისტოს ომი, ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, კონკრეტულად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე განლაგდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, მისიაში შედის დაახლოვებით 200 შეუიარაღებელი მონიტორი, რომელთა განლაგების მიზანს წარმოადგენს რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფა, რათა საომარი მოქმედებების განახლება არ მოხდეს, ხელი შეუწყოს ადმინისტრაციული ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადგილობრივი თემებისათვის უსაფრთხო და ნორმალური ცხოვრების პირობების აღდგენას (https://www.eumm.eu/en/about_eumm/mandate, 2023).

რუსეთის ომის შედეგები საქართველოში მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე თვალსაზრისით, მან აჩვენა აგრესორ სახელმწიფოს, რომ სამხედრო ძალის გამოყენება შეეძლო მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ და საბაბად გამოიყენებდა საკუთარი მოქალაქეების და სხვა ინტერესების დაცვას, იგი საერთაშორისო სამართლის ნორმების

აშკარა დარღვევით აღიარებდა საქართველოს ორი რეგიონის, ცხინვალის და აფხაზეთის აღიარებას, მან აჩვენა ხარვეზები და შთააგონა ვლადიმერ პუტინი სამხედრო რეფორმების განსახორციელებლად, თუმცა აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ევროკავშირისათვის რუსეთი იყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი და მან სათანადოდ ვერ შეაფასა 2008 წლის ომის გაკვეთილები საქართველოში, ასევე ვერ გათვალა რუსეთის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და აჩვენა შესაძლო სიგნალი მეტი მოთმინებისათვის, რომ თვალი დაეხუჭა რუსეთის აგრესიული ქმედებებისათვის ახლო საზღვარგარეთში, შესაბამისად ევროკავშირის არათანამიმდევრულმა პოლიტიკამ ვლადიმერ პუტინს 2014 წელს ერთგვარად შეუქმნა ილუზია უკრაინის წინააღმდეგ დაუსჯელად ჩაეტარებინა სამხედრო კამპანია (Carl Bildt).

როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვაჩვენა რუსეთის აგრესიული სამხედრო კამპანია საქართველოს წინააღმდეგ არ იყო მისი საგარეო პოლიტიკის განხორციელების ბოლო აკორდი. 2008 წლის აგვისტოში ვლადიმერ პუტინმა ერთგვარად კბილი მოუსინჯა კოლექტიურ დასავლეთს და ერთმნიშვნელოვნად მიანიშნა მათ საკუთარი მიზნები, თუმცა ევროპის და ამერიკის დამოკიდებულება რუსეთთან ამ ომმაც ვერ შეცვალა სათანადოდ, მათ ერთგვარად წაყრუების პოლიტიკას მიმართეს, რამაც მომდევნო წლებში გამოხატულება ჰპოვა რუსეთის უკრაინასთან დაპირისპირებაში, ყოველივეს კრემლი ტრადიციულად დასავლეთის შეთქმულების თეორიებს აბრალებს.

1.3. ევროკავშირის გამოწვევები და მის მიერ შემუშავებული სამეზობლო პოლიტიკა 2009-2014 წლებში რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების ფონზე, ყირიმის ანექსიის ფაქტი

აღმოსავლეთის პარტნიორობა არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სპეციფიკური აღმოსავლური განზომილება, რომელსაც 2009 წლის 7 მაისს პრაღაში გამართულ სამიტზე ჩაეყარა საფუძველი ევროკავშირის ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივის სახელით და ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას, ხოლო პარტნიორობის ძირითადი მიზანია გაამლიეროს და გააღრმავოს ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ევროკავშირს, აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის ექვს სახელმწიფოს შორის და ეს ქვეყნებია: მოლდავეთი, უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, იგი ხელს უწყობს ევროკავშირის მეზობელი ქვეყნების სტაბილურობის, კეთილდღეობის და მდგრადი განვითარების საერთო მიზანს, როგორც არის განსაზღვრული ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალურ სტრატეგიაში (https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/european-neighbourhood-policy/eastern-partnership_en, 2023). აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულება მოიცავს ასოცირების ხელშეკრულებას (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობის კომპონენტს (DSFTA), იგი გულისხმობს რიგ რეფორმებს და მიზნად ისახავს პარტნიორი ქვეყნების სტანდარტების გაზრდას, კანონმდებლობის და ცხოვრების წესის გაუმჯობესებას, ხოლო ამ შეთანხმებების შესრულება განსაზღვრავს კრიტერიუმებს და პირობებს, რომლებიც აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ, ასოცირების ხელშეკრულების ძირითადი ელემენტები არის საერთო ევროპული ღირებულებების პატივისცემა, როგორიც არის დემოკრატია, გამჭვირვალობა და ადამიანის უფლებების დაცვა, მდგრადი ენერგეტიკული უსაფრთოება და საბაზრო ეკონომიკა, სხვა მნიშვველოვანი ელემენტებია სამართლიანობა, თავისუფლება და უსაფრთხოება, ძირითადი აქცენტით კანონის უზენაესობა, ბრძოლა ტერორიზმთან, ნარკოტიკებთან, კორუფციასა და ჩრდილოვან ეკონომიკასთან, ასევე ბრძოლა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ (Iryna Mikhnovets, 2015).

ევროკავშირთან დაახლოვების პოლიტიკაზე რუსეთის ზეწოლით უარი ჯერ ბელორუსმა განაცხადა, შემდეგ სომხეთმა, რომელიც რუსეთის მიერ დაფუძნებული ,,ევრაზიული კავშირის" წევრი ქვეყანა გახდა 2015 წლის 2 იანვარს (ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ხელშეკრულებას ხელი სომხეთმა 2014 წლის 10 ოქტომბერს მოაწერა) და ბოლოს აზერბაიჯანმა, რაც შეეხება საქართველოს, უკრაინას და მოლდავეთს ამ სამ სახელმწიფოსთან ევროკავშირმა გააფართოვა თანამშრომლობა პოლიტიკურ სფეროშიც, რომელიც მოიცავს საჯარო მმართველობას, საზოგადოებრივ ჯანდაცვას, გადასახადებს, თუ გარემოს და კლიმატურ ცვლილებებს (Iryna Mikhnovets, 2015).

საბჭოთა კავშირი იყო უზარმაზარი იმპერია რომელიც აერთიანებდა მრავალ ეროვნებას, ხოლო მისი სამართალმემკვიდრე სახელმწიფო რუსეთის ფედერაცია მოქცეული არის დეზინტეგრაციასა და რეიმპერიალიზაციას შორის, რაც სჭირდათ ოსმალეთის და ჰაბსბურგების იმპერიებს XIX საუკუნეში (ჰენრი კისინჯერი, 2021).

საბჭოთა კავშირის მოულოდნელმა კრახმა მთელს მსოფლიოში გამოიწვია კოლოსალური გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული დაბნეულობა, იმპერიის კრახმა კი ძალის ვაკუუმი შექმნა ევრაზიის შუაგულ ცენტრში. რუსებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ ისინი უკვე აღარ იყვნენ უზარმაზარი კონტინენტური იმპერიის მმართველი პატრონები, კავშირში შემავალ ქვეყნებთან სახელმწიფო საზღვარი კი ისევე აღდგა როგორც იყო სამხრეთ კავკასიასთან XIX საუკუნის დასაწყისში, შუა აზიასთან XIX საუკუნის შუახანებში და რაც უფრო მეტად დრამატული იყო დასავლეთთან XVI საუკუნეში, უშუალოდ ივანე IV მრისხანეს მეფობის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, რუსეთისთვის შუა აზიის დაკარგვამ გააჩინა, როგორც მნიშვნელოვანი ენერგეტიკული, ისე მინერალური რესურსების დაკარგვასთან ერთად ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების საფრთხე. უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ კი ერთგვარ ორთაბრძოლებში გამოიწვია პანსლავიანური გაერთიანების მედროშეობის ღვთიურ მისიაზე რუსეთის პრეტენზიები (ბჟეზინსკი, 2014).

ევრაზიის გეოსტრატეგიული სივრცე, რომელიც რუსეთის ბატონობით განეკუთვნებოდა უდიდეს იმპერიას ბოლო საუკუნეების მანძილზე და საუკუნის თითქმის მეოთხედი საბჭოთა კავშირს, უმალ შეივსო ახალი 12 სუვერენული ქვეყნით, ამ დროს რუსეთის მუდმივი მზაობა შეგუებოდა ახალ მსოფლიო წერიგს ხდებოდა განუჭვრეტელი მეზობელი ქვეყნების, თუ საერთაშორისო საზოგადოებისათვის (ბჟეზინსკი, 2014).

რუსეთისათვის ყველაზე შემაშფოთებელ აკორდად იქცა უკრაინის დაკარგვა, ხოლო უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაბადებამ არა მხოლოდ აიძულა რუსული საზოგადოება გაეაზრებინა და სრულად გადაეფასებინა საკუთარი პოლიტიკური და ეთნიკური კუთვნილება, არამედ აღენიშნა რუსეთის დიდი გეოპოლიტიკური მარცხი (ბჟეზინსკი, 2014).

თითქმის 3 საუკუნოვანი რუსეთის იმპერიის ისტორიაზე უარის განაცხადი თავის მხრივ ნიშნავდა მდიდარი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის და 50 მილიონი ადამიანის დაკარგვას, რომლებიც როგორც ეთნიკურად, ისე რელიგიურად ყველაზე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული რუსებთან, შედეგად უკრაინის დამოუკიდებლობამ რუსებს ხელიდან გამოაცალა დომინანტური მდგომარეობა შავ ზღვაზე, სადაც ქალაქი ოდესა, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნავსადგური უზრუნველყოფდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან და მსოფლიოსთან ვაჭრობას (ბჟეზინსკი, 2014). უკრაინის დაკარგვა გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან მომენტად იყო ქცეული რუსეთის გეოსტრატეგიული არჩევანის არსებით შეზღუდვის გამო, ხოლო ბალტიისპირა რესპუბლიკების: ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთის, თუ პოლონეთის გარეშეც რუსეთს იმ შემთხვევაში თუ შეინარჩუნებდა კონტროლს უკრაინაზე შეეძლო პოტენციურად არ დაეკარგა ზესახელმწიფოს სტატუსი ევრაზიის კონტინენტზე, რომლის ფარგლებშიც კრემლის რეჟიმი შეძლებდა საკუთარ კონტროლში მოექცია ყოფილი სსრკ-ს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის არასლავური მოსახლეობა, ხოლო უკრაინის გარეშე რუსეთის ნებისმიერი ცდა, რომ აღადგინოს ევრაზიული იმპერია კრახით დასრულდება, ვინაიდან ის ჩათრეული აღმოჩნდება გაჭიანურებულ კონფლიქტებში, რისი მაგალითიც იყო ომების სერია ჩეჩნეთში (ბჟეზინსკი, 2014).

პოსტიმპერიულ რუსეთში როგორც სტრატეგიული ისე ისტორიული დაბნეულობა გარდაუვალი გახდა, საბჭოთა კავშირის მოულოდნელმა ნგრევამ და საზოგადოდ დიდი რუსეთის იმპერიის თავზარდამცემმა და მოულოდნელმა დაშლამ სათავე დაუდო სულიერების ძიების ფართო პროცესს, თუ როგორ უნდა განესაზღვრა რუსეთის ფედერაციას საკუთარი თავი, შედეგად რუსული საზოგადოება ერთგვარი დილემის წინაშე აღმოჩნდა, ისმებოდა კითხვები თუ რას წამოადგენდა ახალი რუსული სახელმწიფო, ვის გვერდით უნდა დამდგარიყო რუსეთი ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში და იყო თუ არა რუსეთი ეროვნული სახლმწიფო რომლის საფუძვლებს მხოლოდ რუსები წარმოადგენდნენ, თუ რუსეთი რაღაც უფრო დიდია და შესაბამისად მინიჭებული აქვს მისია იყოს იმპერია, რომელიც პანსლავიზმის ქვეშ გააერთიანებს უკრაინელებს, ბელორუსებს და რუსებს ერთ სახელმწიფოში (ბჟეზინსკი, 2014).

რუსულ საზოგადოებაში მიდიოდა დებატები თუ როგორ უნდა განსაზღვრულიყო ახალი რუსეთის ისტორიული, სტრატეგიული და ეთნიკურად ჭეშმარიტი საზღვრები, ხოლო დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფოს განხილვა რა კონტექსტში უნდა მომხდარიყო, როგორც დროებითი გადახვევა და ისტორიული ბედუკუღმართებობის დამსახურება, თუ როგორც ისტორიული სამართლიანობა (ბჟეზინსკი, 2014).

თუ რუსეთის პირველი პრეზიდენტი ბორის ელცინი პირდაპირ კიცხავდა რუსულ იმპერიულ მემკვიდრეობას და მის მსოფლხედველობას, ამის საპირისპიროდ ვლადიმერ პუტინი საბჭოთა იმპერიის დაშლას XX საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად მიიჩნევდა.

ისტორია თავისი მაგალითებით გვასწავლის, რომ საფრთხეებით სავსე სამყაროში, სადაც მტერი მუდმივად ცდილობს მსხვერპლი ქვეყნის სისუსტეს, ძლიერი და ბრძოლისუნარიანი არმიის ყოლას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რუსეთის აანალიზებდა უკრაინის სახელმწიფოს როგორც შესაძლებლობებს, ისე სისუსტეებს, რაც წარმოჩინდა ამ აგრესორი სახელმწიფოს მხრიდან 2014 წელს გამოხატულ ქმედებებში (დონალდ რამსფელდი, 2018).

პოლიტიკური ურთიერთობა უკრაინას და რუსეთს შორის საკამათოა ერთიანი ისტორიული საწყისებიდან გამომდინარე, ვინაიდან ორივე ქვეყანა იზიარებს პოლიტიკურ წარსულს კიევის რუსეთთან, თავის მხრივ თანამედროვე რუსეთი სლავური და მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრად აღიარებს თავს და ყირიმს საკუთარ ნაწილად მიიჩნევს, ხოლო რელიგიური მნიშვნელობის გარდა მას უდიდეს პოლიტიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს, აღსანიშნავია რომ ნახევარკუნძული იყო რუსეთის იმპერიის საყრდენი ყირიმის ომში (1853-1856წწ.), ასევე სევასტოპოლის დაცვა გერმანელი ნაცისტებისგან II მსოფლიო ომის დროს გახდა რუსეთის ძლიერების სიმბოლო და მიიღო ,,გმირი ქალაქის" სტატუსი, შედეგად რუსების აღქმით ყირიმი ისტორიულად იყო კრიტიკული ბუფერი ნებისიერ აგრესორთან ბრძოლაში და ნახვარკუნძულის დაკარგვა რუსეთის, როგორც დიდი ყირიმის ნახევარკუნძული 1954 წელს გადაეცა უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და მისი იურისდიქცია გავრცელდა, თუმცა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანვე სახელმწიფოს სტატუსს შეარყევდა (Jonathon cosgrove, 2020).

იყო არაერთი კრიზისული ფაზა, რასაც რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები კრიტიკულ ზღვრამდე მიჰყავდა, დაძაბულობა განმუხტა ორი ქვეყნის 1997 წლის 28 მაისის შეთანხმებამ, რის მიხედვით შავი ზღვის ფლოტის გაყოფა მოხდა და რუსეთს 20 წლიანი იჯარით გადაეცა პორტები სევასტოპოლსა და მის გარშემო, 2010 წლის 21 აპრილს ხელი ვიქტორ იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროს ხარკოვის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რისი მიხედვითაც 2042 წლამდე გახანგრძლივდა და დაკანონდა რუსული ფლოტის ყოფნა ყირიმში (Sergii Gulenok, 2018).

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინირებდა დაპირისპირება პროდასავლურ და პრორუსულ პარტიებს შორის, ხოლო შედარებითი სტაბილურობის პერიოდის შემდეგ დაძაბულობამ იმატა 2013 წლის ნოემბრიდან პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის და რუსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების გაცხადების შემდეგ (Russell buchan, Nicholas Tsagourias, 2017). იანუკოვიჩი კვლავ

დაესწრო ევროკავშირის სამიტს ვილნიუსში 2013 წლის 28-29 ნოემბერს, სადაც იგეგმებოდა ხელშეკრულების გაფორმება, თუმცა ხელი არ მოაწერა მან და შედეგად აქციის მასშტაბებიც გაიზარდა, რაც ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენებაში გამოიხატა, საპროტესტო აქციებმა კულმინაციას მიაღწია 2014 წლის თებერვალში (HOMERO EDMUNDO BLANCO LOZADA, MCEBISI BENJAMIN MTISHISELWA, MOHAMED SALEM ELMELIGY, ROGERIO DOS SANTOS LAJOLA GARCIA, 2014). იანუკოვიჩის გადაწყვეტილებას მოჰყვა პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში, საპროტესტო გამოსვლები ევრომაიდანზე, ხოლო 2014 წლის თებერვალში ევროკავშირის შუამდგომლობით იანუკოვიჩმა და ოპოზიციის ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რაც ითვალისწინებდა 2004 წლის კონსტიტუციის დაბრუნებას, საპრეზიდენტო უფლებამოსილების შეზღუდვასა და კოალიციურ მთავრობის ფორმირებასთან ერთად ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს, ამ შეთანხმებამ ვერ განმუხტა დაძაბულობა უკრაინაში და 2014 წლის 22 თებერვალს იანუკოვიჩი ქვეყნიდან გაიქცა, იმავე დღეს პარლამენტმა იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა (Russell buchan, Nicholas Tsagourias, 2017).

2014 წლის თებერვლის მიწურულს სოჭის ოლიმპიური თამაშებიდან მალევე ვლადიმერ პუტინმა მოახერხა თანამედროვე რუსეთის დადებითი იმიჯის წარმოჩენა, ხოლო სრულიად მოულოდნელად საკუთარი ჯარი, რომელთაც კრიზისის საწყის ეტაპზე არ გააჩნდათ არც მაიდენტიფიცირებელი ნიშნები და იყვნენ ნიღბებით, მოახდინეს ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია, რაც დასავლეთისთვის ნამდვილი შოკი იყო, ხოლო გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელმა და აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამა მიიჩნევდნენ, რომ პუტინი ამ აგრესიული ნაბიჯებით ,,სხვა სამყაროში“ იყო, აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ ქერის აღნიშვნით პუტინი ,,სხვა რეალობაში იმყოფებოდა”, ან ,,საკუთარ რეალობას იქმნიდა” (Crimea: From Catherine the Great to Vladimir the Gambler).

ყირიმის კრიზისმა 2014 წლის მარტში საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროს ერთ-ერთი დამაარსებელი ქვეყნის უკრაინის სახელმწიფო საზღვრის სამხედრო ძალით ცვლილებას ჰქონდა ადგილი (გამონაკლისი კოსოვო იყო), ხოლო აგრესორი რუსეთის ფედერაცია იყო,

რაც ფუნდამენტურად ცვლიდა სტრატეგიულ სიტუაციას ევროპაში (Robert J. Delahunty, 2014).

2014 წლის 18 მარტს რუსეთმა ოფიციალურად მოახდინა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია, ხოლო 19 მარტს რუსულმა ჯარებმა შეუტიეს უკრაინის სამხედრო ობიექტებს და გემებს, 24 მარტს უკრაინის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ნახევარკუნძულიდან გასვლის ბრძანება გასცა, რაც შესრულდა 30 მარტისათვის, იმავე წლის 15 აპრილს უკრაინის პარლამენტმა ყირიმი ოფიციალურად ცნო ოკუპირებულ რეგიონად, რუსეთის მთავრობამ გააძლიერა სამხედრო ყოფნა ამ ტერიტორიაზე და ანექსიის შემდეგ ბირთვული იარაღის გამოყენებით დაიმუქრა (Madhavi Gaur, 2022).

ყირიმის ანექსიამ ბოლო მოუღო ევროკავშირის ილუზიას, ამ ხედვით სამხედრო კონფლიქტები და ტერიტორიული დაპყრობები ისტორიის კუთვნილება იყო, ხოლო ბოლო ათწლეულის განმავლობაში მის მიერ აშენებული უსაფრთხოების არქიტექტურა და საგარეო პოლიტიკა გათვლილი იყო საფრთხეებზე, რაც მომდინარეობდა კლასიკური სამხედრო საფრთხეების არარსებობის პირობებში არასახელმწიფოებრივ აქტორებიდან, როგორიც არის ტერორიზმი, არშემდგარი სახელმწიფოები, ორგანიზებული დანაშაული და ბალკანური სტილის რეგიონული კონფლიქტები, ამასთან ევროკავშირი თვლიდა რომ XXI საუკუნეში საგარეო პოლიტიკა უნდა დაფუძნებოდა საერთაშორისო ნორმებს და ღირებულებებს და არა ხისტი სამხედრო ძლიერების წარმოჩენას საკუთარი საგარეო პოლიტიკის გასატარებლად (WOLFGANG KOETH, 2018).

რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის უგულებელყოფამ და უკრაინის წინააღმდეგ მტრულმა ქმედებებმა ევროკავშირის მხრიდან გამოიწვია სანქციების პოლიტიკა და შეზღუდვები, ასევე დადგა რუსეთთან თანამშრომლობის სტრატეგიის გადახედვის აუცილებლობა, ხოლო სტრატეგიული პარტნიორობის პარადიგმიდან იგი წარმოჩინდა, როგორც არასტაბილურების ერთ-ერთი მთავარი წყარო გამომდინარე ყირიმის ნახევარკუნძულის უკანონო ანექსიიდან (Katya Kruk, 2019).

ყირიმის ოკუპაციის და სრული ანექსიის მწარე გამოცდილებით უკრაინამ 2014 წელს დაიწყო თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის ყოვლისმომცველი განახლება, დახმარების მზაობა ნატოს მრჩევლებმა გამოთქვეს და უკრაინამ 2015 წელს მიიღო ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რასაც მოჰყვა თავდაცვის რეფორმების საგზაო რუკა 2016 წელს, ხოლო 9 ივლისს ვარშავაში შეხვედრაზე ნატომ უკრაინისათვის ყოვლისმომცველი დახმარების პაკეტი გამოყო რაც ითვალისწინებდა ნატოსთან თავსებადობის გაზრდას და დაახლოვებას 2020 წლამდე (Comprehensive Assistance Package for Ukraine, 2016).

ევროკავშირის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სანქციებმა ვერ გამოიღო შესაბამისი შედეგები, ვინაიდან ჯერ კიდევ 2008 წელს რუსულ სამხედრო აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ არ ჰქონდა სათანადო პასუხი გაცემული კოლექტიური დასავლეთის მხრიდან. რუსეთის შეკავება და მისი ნეოიმპერიული, ექსპანსიონისტური მადის შეზღუდვა ვერ მოხერხდა ვერც ყირიმის უკანონო ანექსიის პირობებში, რასაც მალე მოჰყვა რუსეთის მხრიდან ორი უკრაინული რეგიონის დონეცკის და ლუჰანსკის ოკუპაცია, იგი არაფრად აგდებდა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და უხეშად არღვევდა მას. კონფლიქტის დროებითი გაყინვა 2014-2022 წლებში ევროკავშირის შუამდგომლობით წარმოებული მინსკის შეხვედრებზე უშედეგო აღმოჩნდა, ხოლო დაუსჯელობის სინდრომმა თითქოს წაახალისა რუსეთი, მას ერთგვარად მოუმზადა პლაცდარმი შემდგომი აგრესიული ქმედებების განხოციელებისკენ, რაც გადაიზარდა XXI საუკუნის ყველაზე დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისსა და ევროპის კონტინენტზე სრულმასშტაბიან ომში უკრაინის წინააღმდეგ. რუსეთის აგრესიული ომი XXI საუკუნეში მთლიანად ცვლის საერთაშორისო წესრიგს და გაეროს როგორც გლობალური მთავრობათშორისი ორგანიზაციის რეორგანიზაციის აუცილებლობას წარმოაჩენს, რათა მეტი ბერკეტი გააჩნდეს ამ ორგანიზაციას აგრესორი ქვეყნის დასასჯელად და მისი მთავარი ფუნქციის ეფექტურად განსახორციელებლად, რა მიზანიც მთელს მსოფლიოში მომავალი თაობების ომებისგან დაცვა წარმოადგენს.

თავი II. ევროპული უსაფრთხოების გამოწვევები (2015-2023წწ.)

2.1. რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობები, თანამშრომლობა და გამოწვევები

რუსეთის ფედერაცია არის ევროკავშირის უდიდესი მეზობელი, რომელთანაც დათბობის პოლიტიკა გაგრძელდა 2004, 2007 და 2013 წლებში განხორციელებული ევროკავშირის გაფართოვების შემდეგაც, ხოლო 2015 წელს ვაჭრობის მოცულობამ მხარებს შორის რუსეთის მთლიანი საგარეო ვაჭრობის მოცულობის 45%-ს მიაღწია, თავის მხრივ რუსეთი ევროკავშირის მეოთხე უდიდესი სავაჭრო პარტნიორი იყო 2015 წელს და საგარეო ვაჭრობის 6%-ს შეადგენდა, აღსანიშნავია რომ 2015 წელს, 2013-2014 წელთან შედარებით თვალსაჩინო შემცირების ფონზე რუსეთის და ევროკავშირს შორის ვაჭრობის მოცულობამ 209,5 მილიარდი ევრო შეადგინა. რუსეთი წამყვან პოზიციას იკავებდა როგორც ევროკავშირის ენერგეტიკული რესურსების უმსხვილესი მიმწოდებელი, რაც აკმაყოფილებდა ევროკავშირის მოთხოვნას ნედლ ნათობზე, ბუნებრივ აირსა და ქვანახშირზე დაახლოვებით 33%-ით (Brief overview of relations, 2023). რაც შეეხება რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობების სამართლებრივ საფუძვლებს, იგი სათავეს იღებს 1994 წლის ივნისში ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებიდან, რამაც საფუძველი ჩაუყარა მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას და მათ შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის პერსპექტივას, შეიქმნა რუსეთ-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ჩარჩო (Brief overview of relations, 2023). რუსეთ-ევროკავშირის 1994 წლის შეთანხმებამ საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკურ, სამართლებრივ და ჰუმანიტარულ სფეროებში თანამშრომლობას, რის გაგრძელებაც იყო 1999 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული ერთიანი სტრატეგია რუსეთის მიმართ საშუალო ვადიან პერსპექტივაში, მხარებმა შექმნეს მყარი ინსტიტუციური არქიტექტურა ექსპერტთა ჩართვით, რასაც შედეგად მოჰყვა კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებზე კონსულტაციების 20-ზე მეტი რაუნდი (Tatiana Zonova, 2023).

2000 წელს რუსეთის პრეზიდენტად ვლადიმერ პუტინის არჩევამ ახალი სიცოცხლე შესძინა რუსეთის დაძაბულ ურთიერთობებს ევროკავშირთან, მან ასევე გააძლიერა რუსეთის ვალდებულების პრობლემები და წინააღმდეგობები მულტივექტორული საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას, პუტინის ეკონომიკური მოდერნიზაციის პროგრამა მოიცავდა შერჩევით ეკონომიკურ რეფორმებს, ეროვნულ კონტროლს სტრატეგიულ სექტორებზე, განსაკუთრებით ენერგეტიკაში, რუსული პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაციას ავტორიტარულ საწყისებზე, ხოლო მის მიერ შემუშავებული პოლიტიკა პირველ წლებში ეყრდნობოდა ერთი მხრივ შეერთებულ შტატებთან პრაგმატულ პოლიტიკას 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, მეორე მხრივ 2003 წელს ერაყის ომის წინააღმდეგ გამოდიოდა და ამ საკითხზე საფრანგეთთან და გერმანიასთან ერთად თანამშრომლობდა, შესაბამისად პუტინის ფარულ მიზანი განხეთქილების ჩამოგდება იყო დასავლელ მოკავშირეებს შორის (Cynthia A. Roberts. Dr, 2007).

2001 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ბუნდესტაგში სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა რუსეთის ევროპულ არჩევანს, განცხადებამ ვერ შეაჩერა ურთიერთობების გაცივება, რადგან ანალიტიკოსების აზრით პრობლემები უფრო ღრმა იყო, საპირისპირო ინტერესების ერთობლიობა, გეოპოლიტიკური ამბიციების და ღირებულებების შეჯახება, მიუხედავად იმისა რომ ევროპას და რუსეთს აქვთ ისტორიული და ცივილიზაციური კავშირები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონული მშვიდობის, გრძელვადიანი უსაფრთხოების და სტაბილურობის შესანარჩუნებლად (Nivedita Kapoor, 2021).

2008 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია - სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც პერიოდულად ქვეყნდება რუსეთის ფედერაციის მიერ თავის საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტული მიმართულებებისა და ამოცანების განსაზღვრა წარმოჩინდა, როგორც თანაარსებული ცივილიზაციების სიმრავლე, რისი მიხედვით თანამედროვე ისტორიაში პირველად იძენდა გლობალური კონკურენცია ცივილიზაციურ განზომილებას, ხოლო უკვე 2010 წელს რუსეთის ცივილიზაციური როლი ევრაზიული პარტნიორობისკენ მეტად იხრებოდა, რის მიხედვით წინააღმდეგობები, რაც იყო ევროპას და ევრაზიას შორის არ იყო

ეკონომიკური, არამედ ცივილიზაციური, ხოლო ევრაზიული ცივილიზაციის სტრუქტურა რუსული თვალთახედვით ეფუძნებოდა შემდეგ ღირებულებებს: სამართლიანობას, ვალდებულებას და ურთიერთპატივისცემას (Barbara Roggeveen, 2021).

უკრაინაში კრიზისის დაწყებამდე ევროკავშირი და რუსეთის ფედერაცია აშენებდნენ სტრატეგიულ პარტნიორობას, რომელიც მოიცავდა ვაჭრობას, ეკონომიკას, ენერგეტიკას, კლიმატის ცვლილებებს, კვლევებს, განათლებას, კულტურას, უსაფრთხოებას, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებს და კონფლიქტის მოგვარებას ახლოს აღმოსავლეთში (Levente Csaszi, 2022).

2000-იანი წლების შუა ხანებში რუსეთ-ევროკავშირს შორის ურთიერთობების გაღრმავებას უთანხმოებები ცვლიდა, რაც მოიცავდა ერთი მხრივ ნატოს და ევროკავშირის გაფართოვებას, მეორე მხრივ 2006 წელს რუსეთ-უკრაინის დავას ბუნებრივ აირზე, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, კიბერშეტევები და პოსტსაბჭოთა სივრცეში ,,ფერადი რევოლუციები“ (Nivedita Kapoor, 2021).

რუსეთმა პირველად გამოიყენა პოსტსაბჭოთა ისტორიაში სამხედრო ძალები საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ საზღვრების ძალისმიერი ცვლილების მისაღწევად საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო კონფლიქტის შემდეგ პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გამოაცხადა ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინა, რაც მოიცავდა ,,პრივილეგირებულ ინტერესების ზონებს“, ევროკავშირმა რუსეთის ქმედება მიუღებლად შეაფასა, თუმცა მორალური ხასითის იყო ეს გაფრთხილება და მას პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია, რისი გაგრძელებაც 2009 წლის იანვარში რუსეთ-უკრაინის გაზის კრიზისი იყო, რამაც ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა, ხოლო რუსეთის ფედერაცია წარმოჩინდა როგორც არასანდო პარტნიორი (Arkady Moshes, 2009).

2014 წლის უკრაინის კრიზისმა გამოიწვია რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობების ძირითადი მექანიზმების შეჩერება, რუსეთი გარიცხულ იქნა G8-დან და ევროკავშირმა სანქციები დაუწესა, რომელიც ყოველ ექვს თვეში ერთხელ ახლდებოდა, ხოლო მისი გაუქმება დამოკიდებული იყო მინსკის შეთანხმების შესრულებაზე, რის საპასუხოდ

რუსეთმა მიიღო კონტრსანქციების სერია ევროკავშირის წინააღმდეგ. ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებმა იცოდნენ რუსეთის გაუცხოების ფასი და ფრთხილ პოლიტიკას მიმართავდნენ, რაც გამოიხატებოდა რეგულარულ ორმხრივ ურთიერთობაში მოსკოვთან, მათ შორის კოორდინაციაში ახლო აღმოსავლეთის და უკრაინის საკითხებზე, შედეგად 2016 წლის მარტში ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭომ გამოაქვეყნა ხუთი ძირითადი პრინციპი, რომელიც ეფუძნებოდა რუსეთთან სამომავლო ურთიერთობებს და საკითხებს და ესენი იყო: I - მინსკის შეთანხმების შესრულება, როგორც ძირითადი პირობა რუსეთის ფედერაციის მიმართ ევროკავშირის პოზიციის არსებითი ცვლილებისათვის, II - ურთიერთობების გაძლიერება და გაღრმავება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორებთან, მათ შორის ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, III - ევროკავშირის მდგრადობის გაძლიერება, როგორიც არის ენერგეტიკული უსაფრთხოება, ჰიბრიდული საფრთხეები, ან სტრატეგიული კომუნიკაცია, IV - შერჩევითი ჩართულობა რუსეთ-ევროკავშირისთვის საინტერესო საკითხებზე და V – რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა (Nivedita Kapoor, 2021).

2016 წლის 1 დეკემბერს რუსეთმა მიიღო საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია, სადაც კრემლმა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და ევროკავშირი დაადანაშაულა გეოპოლიტიკურ ექსპანსიაში, თუმცა მიუხედავად ინტერესების სხვაობისა, ერთი მხრივ ევროკავშირმა და მეორე მხრივ რუსეთის ფედერაციამ მზაობა გამოხატეს პოლიტიკური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, ამის მიუხედავად 2018 წლის 4 მარტს რუსეთის ყოფილი სამხედრო დაზვერვის ოფიცრის სერგეი სკრიპალის და მისი შვილის იულია სკრიპალის მოწამვლამ დიდი ბრიტანეთის ქალაქ სოლსბერიში დიდი საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია (მათთან ერთად კიდევ 21 ადამიანი მოიწამლა), შედეგად დიდი ბრიტანეთისადმი სოლიდარობის ნიშნად მოჰყვა რუსი დიპლომატების გაძევება საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან და იტალიიდან, ხოლო 2019 წელს ევროკავშირმა მიიღო დეკლარაცია, სადაც ხაზგასმული იყო,5 რომ რუსეთი აღარ შეიძლებოდა ჩათვლილიყო სტრატეგიულ პარტნიორად, დეკლარაციას მოჰყვა ევროპარლამენტის ორი რეზოლუციის მიღება 2020 წლის სექტემბერში სადაც დაგმობილი

იყო ალექსეი ნავალნის მოწამვლა, მეორე რეზოლუცია 2021 წელს იანვარში ნავალნის ციხეში დაპატიმრების დროს, აღნიშნული რეზოლუცია მოუწოდებდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს რათა შეემუშავებინათ ახალი სტრატეგია და კრიტიკულად გადაეხედათ რუსეთთან თანამშრომლობისათვის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა პლატფორმებსა და პროექტებში (Ankita Dutta , 21).

21-ე საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთი და ჩინეთი ხელს უწყობენ საერთაშორისო წესრიგის ალტერნატიულ ხედვას, რომელიც აშკარად განსხვავდება აშშ-სა და ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ლიბერალური საერთაშორისო წესრიგისაგან, ორივე სახელმწიფომ დაბლოკა ამ წესრიგის მცდელობები განსაკუთრებით გაეროს უშიშროების საბჭოში და ხელი შეუწყო ალტერნატიულ ხედვას, რომელიც პატივს სცემს აბსოლუტურ სუვერენიტეტს (Mercy A. Kuo, 2023). მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არსებობს ჩინეთ-რუსეთის შორის რეგიონულ ჰეგემონობასთან დაკავშირებით ასიმეტრიული წინააღმდეგობა, კრემლის რეჟიმი ცალსახად უჭერს მხარს ჩინეთის უსაფრთხოების პოლიტიკას იაპონიისა და სამხრეთ კორეის მიმართ, იღებს მონაწილეობას ერთობლივ სამხედრო წვრთნებში, რასაც პეკინის რეჟიმი არ პასუხობს და შორს დგას ომის ზღვარზე ბალანსირების პოლიტიკისაგან ევროპაში. რუსეთ-ჩინური ერთობლივი აქტივობები ბალკანეთიდან და ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან სუბსაჰარის აფრიკამდე უარყოფითად აისახება ევროკავშირ-ამერიკის გავლენებზე, შესაბამისად ჩინეთი და რუსეთი მიდრეკილი არიან აწარმოონ პარალელური და არა კოორდინირებული პოლიტიკა კოლექტიური დასავლეთის წინააღმდეგ (Mercy A. Kuo, 2023).

რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთსასარგებლო სავაჭრო ურთიერთობების მიუხედავად, რუსეთი ერთგვარად უფლებას იტოვებს საკუთარი საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას არ მოერიდოს ხისტ სამხედრო ნაბიჯებს, რაც ძირს უთხრის თანამედროვე საერთაშორისო სისტემას და ევროპის კონტინენტზე სტაბილურობას. შესაბამისად ევროკავშირის მრავალი ცდის მიუხედავად ავტორიტარული რუსული სახელმწიფო ძველი, XVIII-XIX საუკუნეების იმპერიული ექსპანსის მეთოდების გამოყენებით ცდილობს საკუთარ ექსკლუზიურ გავლენის ზონების შექმნას, რასაც იგი

სამომავლოდ გამოიყენებს ერთგვარ ბუფერად დასავლეთთან ურთიერთობის წარმართვისას, რუსულ პოლიტიკას ევროკავშირი არ ეთანხმება და იგი ცდილობს აშშ-სთან მჭიდრო კოორდინაციით უკრაინის სახელმწიფოს გადარჩენას და საკუთარი ინტერესების დაცვას ევროპის კონტინენტზე.

2.2. რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი, დიდი კრიზისი ევროპის კონტინენტზე და ევროკავშირის მიერ შემუშავებული პოლიტიკა

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში რომელიც დაიწყო 2022 წლის 24 თებერვალს ცხადად დაარღვია ცივი ომის შემდგომი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა და მთლიანად გადაწერა ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობა, რომელიც შენდებოდა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ამ ხნის მანძილზე ურთიერთობების ძირითადი საფუძველი იყო ენერგეტიკული და ეკონომიკური ურთერთდამოკიდებულება (STEFAN MEISTER, 2022).

1748 წელს გამოქვეყნებულ ,, კანონთა სულში" ფრანგი ფილოსოფოსი შარლ ლუი მონტესკიე ამტკიცებდა, რომ ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა ჰოლანდიის პროვინციებს, იყო მათი წინააღმდეგობა ესპანეთს გვირგვინის მიმართ, ანალოგიურად შვეიცარიის კანტონების წინააღმდეგობა საღვთო რომის იმპერიის წინააღმდეგ იყო ერთიანი, ამჟამად მსგავსი პროცესი მიმდინარეობს ევროპაში, უკრაინაში რუსეთის აგრესიის საპასუხოდ კოლექტიური დასავლეთის მხრიდან (Caroline de Gruyter, 2023).

რუსეთის ფართო მასშტაბიან სამხედრო ესკალაციას უკრაინაში კრემლის რეჟიმმა უწოდა ,,სპეციალური სამხედრო ოპერაცია", ხოლო მიზნად უკრაინის დემილიტარიზაცია და დეფაშიზაცია გამოცხადდა, პრეზიდენტ პუტინის განცხადებით დასავლეთმა არ უნდა გადალახოს წითელი ხაზები და უკრაინის ნატოს რიგებში გაწევრიანება არ უნდა მოხდეს, რაც შეეხება კრიზისის ოფიციალურ საფუძვლებს, კრემლის რეჟიმმა რუსეთის უსაფრთხოების ინტერესების და ეთნიკური რუსების უფლებების დარღვევა დასაახელა (Balaji, 2023).

ევროკავშირის პასუხი რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე 2022 წლის თებერვალში ხაზს უსვამს მისი საგარეო პოლიტიკური სისტემის პოტენციალს, რომ განახორციელოს მნიშვნელოვანი კოლექტიური დიპლომატია, აღსანიშნავია რომ მან დააწესა სავაჭრო, ფინანსური და ინდივიდუალური სანქციები რუსეთის პოლიტიკურ და ფინანსურ

ინსტიტუტებსა, თუ უმაღლესი თანამდებობის პირებზე, ხოლო ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელმა ,,გეოპოლიტიკური გამოღვიძება“ უწოდა ევროკავშირის მხრიდან რუსეთის მიმართ გატარებულ პოლიტიკას, ამავდროულად ევროკავშირის ორმა წევრმა სახელმწიფომ შვედეთმა და ფინეთმა შეცვალეს თავდაცვის პოლიტიკა და ნეიტრალიტეტი და 2022 წლის ივლისში შეიტანეს განაცხადი ნატოში გაწევრიანების შესახებ (Heidi Maurer, Richard G Whitman, Nicholas Wright, 2023).

ევროკავშირის მიერ მიღებული სანქციების პაკეტების მეშვეობით გაერთიანების წევრ სახელმწიფოები მთლიანად წყვეტენ ყველა ეკონომიკურ კავშირს რუსეთთან, რისი დასტურიც არის რუსეთიდან ბოლო 50 წლის მანძილზე ბუნებრივ აირის ექსპორტზე უარი და ურთიერთსასარგებლო ენერგეტიკული ურთიერთობები, რაც რუსეთის ეკონომიკაზე სერიოზული ზეწოლის მექანიზმია, ამათან უბიძგებს მას ახალი ბაზრების საძიებლად ჩინეთში და ზოგადად აზიის კონტინენტზე. სანქციების გამო გერმანიამ, რუსეთის ყველაზე მნიშვნელოვანმა სავაჭრო პარტნიორმა ევროკავშირში 2022 წლის პირველ ნახევარში რუსეთთან ექსპორტის 34%-იანი ვარდნა აჩვენა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო რუსეთის სამხედრო აგრესიამ ბალტიის ზღვაში გამავალი გაზსადენი ,,ჩრდილოეთი ნაკადი 2“ -ის პროექტის შეჩერებაც განაპირობა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც მნიშვნელოვნად იყვნენ რუსულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულები დაიწყეს ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიება ახლო აღმოსავლეთში, ნორვეგიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ძირითადად თხევადი ბუნებრივი აირის შესაძენად (STEFAN MEISTER, 2022).

ევროკავშირის გამოცდილება უსაფრთხოებასთან და თავდაცვასთან დაკავშირებით შედარებით ახალია და ძირითადად ფოკუსირებულია დაბალი ინტენსივობის კრიზისების მართვის ოპერაციებზე ევროპის გარეთ, ხოლო მცირე ზომის დამხმარე საშუალებების გარდა, ევროკავშირს არ გააჩნია სამხედრო დაგეგმვის, ოპერაციების მართვისა და კონტროლის მუდმივი აქტივები, ამასთან არ აქვს საკმარისი გამოცდილება შეკავების და

თავდაცვის სფეროებში, იგი ცალსახად აღიარებს ნატოს პირველობას, როდესაც საქმე ეხება შეკავებას და ტერიტორიულ თავდაცვას (Luis Simón, 2023).

რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან ორი თვის შემდეგ გაეროს მონაცემებთ 5 მილიონზე მეტმა უკრაინელმა იძულებით დატოვა ქვეყანა, როგორც ლტოლვილმა ძირითადად ევროკავშირის წევრ, მეზობელ სახელმწიფოებში: პოლონეთში, რუმინეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში, იძულებით გადაადგილებულ პირთა თითქმის 90% ქალები და ბავშვები იყვნენ, აღსანიშნავია რომ ლტოლვილთა არნახულად დიდმა ტალღამ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა, ომის პირველ თვეებში უკრაინამ ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის მეშვეობით დიდი ეკონომიკური და ფინანსური დახმარება მიიღო, ხოლო ევროკავშირის დირექტივით უკრაინელ ლტოლვილებს მიენიჭათ უფლება განათლების მიღების, ცხოვრების უფლების და შრომის ბაზარზე წვდომის, მინიმუმ 1 წლის განმავლობაში (Francesca Maria Vidori, 2022).

ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების პირველი პაკეტი მიღებულ იქნა 2022 წლის 23 თებერვალს რაც იყო პასუხი რუსეთის გადაწყვეტილებაზე უკრაინის დონეცკის და ლუჰანსკის ოლქების დამოუკიდებელ სუბიექტებად აღიარების და ამ რეგიონებში გაგზავნილი რუსული ჯარების საპასუხოდ, ეკონომიკური შეზღუდვები ოკუპირებულ დონეცკის და ლუჰანსკის წინააღმდეგ, თუ შეზღუდვების დაწესება ევროკავშირის კაპიტალზე, ფინანსურ ბაზრებსა და სერვისებზე (Francesca Maria Vidori, 2022).

ევროკავშირის მიერ სანქციების მეორე პაკეტიც სულ მალე გამოცხადდა 2022 წლის 25 თებერვალს, ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება აქტივების გაყინვის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის და საგარეო საქმეთა მინისტრის, მესამე პაკეტი 28 თებერვალს იქნა მიღებული რა ახალი ზომებიც მოიცავდა რუსეთის ცენტრალურ ბანკთან ტრანზაქციების აკრძალვას, ევროკავშირის საჰაერო სივრცის გამოყენების აკრძალვას რუსი გადამზიდავებისათვის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების აეროპორტებზე წვდომის აკრძალვას, 2 მარტს ევროკავშირმა სვიფტიდან რუსეთის 7 ბანკი გათიშა, რაც

უზრუნველყოფს ამ ბანკების გათიშვას საერთაშორისო საფინანსო სისტემასთან და დააზარალებს მათ გლობალურ ფუნქციონირებას, სანქციები დაეკისრა და სამაუწყელო საქმიანობა შეუჩერდა რუსულ საინფორმაციო საშუალებებს Sputnik-ს და Russia Today-ს, ვინაიდან ისინი არ წყვეტდნენ დეზინფორმაციის და ინფორმაციის მანიპულირების სტრატეგიებს ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების წინააღმდეგ, ამასთან ორივე საინფორმაციო პლატფორმას რუსეთი აქტიურად იწყენებს დღემდე უკრაინაში სამხედრო აგრესიის მხადრაჭერის, თუ მისი მეზობელი ქვეყნებში დეზინფორმაციის კამპანიის საწარმოებლად (Francesca Maria Vidori, 2022).

ევროკავშირის სანქციების რეჟიმი ამოქმედდა ბელორუსიის მიმართ უკრაინის წინააღმდეგ რუსული სამხედრო აგრესიის ხელშეწყობისა და დახმარების გამო, სანქციები მოიცავს ფინანსურ, ეკონომიკურ, თუ სავაჭრო ღონისძიებებს.

ევროკავშირის ლიდერ პოლიტიკოსთა შორის ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს უნგრეთის მოქმედი პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი, რომელიც ომის პირველი თვეებიდან უწევდა უკრაინას ჰუმანიტარულ დახმარებას, თუმცა უარს აცხადებდა იარაღის და საბრძოლო მასალის მიწოდებაზე, იგი ერთგვარ ,,ტროას ცხენად'' იქცა ევროკავშირში, ხოლო მისი შეხედულებით რუსეთი და უკრაინა იყო ორი სლავური სახელმწიფო და მათ ურთიერთობაში ევროკავშირს უფრო ფრთხილი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა, იგი ფინეთის ნატოში გაწევრიანებას ხელოვნურად აფერხებდა, აღსანიშნავია უკრინის მიმართ ევროკავშირის და აშშ-ის ფინანსური, სამხედრო და ჰუმანიტარული დახმარება, რამაც 2022 წლის იანვრიდან 2023 წლის იანვრამდე 143 მილიარდ ევროს მიაღწია, საიდანაც 73,18 მილიარდი ევრო აშშ-ს, ხოლო 44,34 მილიარდი ევროკავშირის წილი იყო უკრაინის საჭირო იარაღით და საბრძოლო მასალით უზრუნველსაყოფად (KARL-PETER SCHWARTZ, 2023).

რუსეთის აგრესიამ უკრაინაში ერთგვარი ბიძგი მისცა და გამოაცოცხლა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა, შედეგად 2022 წლის 23 ივნისს უკრაინამ და მოლდავეთმა ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით მიიღო კანდიდატის სტატური, ხოლო საბჭომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარა და განაცხადა რომ დასახული

პრიორიტეტების შესრულების შემთხვევაში, რაც 12 პუნქტად იქნა ჩამოყალიბებული, საქართველოც მიიღებდა კანდიდატის სტატუსს.

რუსეთ-უკრაინის ომის სამხედრო ასპექტებს რაც შეეხება, კრემლის რეჟიმი იმედოვნებდა უკრაინის ოკუპაციას 10 დღის განმავლობაში და სრულ ანექსიას იმავე წლის აგვისტომდე, იგი ერთგვარი ,,ბლიცკრიგი" (,,ელვისებრი ომი") უნდა ყოფილიყო, რაც ელვის სისწრაფით ჩამოშლიდა ქვეყნის, როგორც თავდაცვის სისტემას, ისე პოლიტიკურ ელიტას, ომის საწყის ეტაპზე რუსებმა მართლაც მიაღწიეს სამხედრო ძალის თანაფარდობის 12:1 უპირატესობას კიევის ჩრდილოეთით, თუმცა რუსული ძალები ტაქტიკურ დონეზე მოუმზადებლები აღმოჩნდნენ გეგმის სრულყოფილად შესასრულებლად, 2022 წლის აპრილიდან რუსეთს წაერთვა სტრატეგიული ინიციატივა და მისი სამხედრო ლოჯისტიკა საფრთხის ქვეშ მოექცა (Mykhaylo Zabrodskyi, 2022).

რუსეთის მცდელობა უკრაინის დედაქალაქი სწრაფად დაეპყრო წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან რუსეთის სახმელეთო თუ საჰაერო ძალებმა დასახული ამოცანის შესრულება ვერ შეძლო დაგეგმვის, ტაქტიკის და სხვა შემაფერხებელი ფაქტორებთან ერთად უკრაინელი ჯარისკაცების მხრიდან გამოვლენილი დიდი წინააღმდეგობის გამო, ამის შემდეგ რუსეთმა შეცვალა სტრატეგია და საკუთარი მძიმე არტილერიის დიდი კონცენტრაციით შეეცადა უკრაინულ ძალების დონასის რეგიონიდან გამოდევნას, საპასუხოდ უკრაინამ ჩაატარა კონტრშეტევები და განახორციელა ზუსტი დარტყმები ხერსონის ოლქში, ხოლო 2022 წლის სექტემბრის დასაწყისში დაიწყო შეტევა ხარკოვის მიმართულებთ და რუსების მიერ კონტროლირებად 6 000 კვ. კმ ტერიტორია საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა (Ben Barry, 2023).

საერთაშორისო მიმომხილველების და ექსპერტების აზრით ვინაიდან რუსეთის ფედერაციის ჯარებს სამხედრო მოდერნიზაციის ათწლიანი პერიოდი ჰქონდათ გავლილი, ასევე მდიდარი სამხედრო გამოცდილება უკრაინაში 2014-2015 წლების და 2015 წლის სირიაში, უკრაინაში განხორციელებული ინტერვენციისას მნიშვნელოვან რიცხობრივ უპირატესობას ფლობდნენ, ხოლო მსგავსმა ტაქტიკამ რომელმაც წარმატებით იმუშავა

პრაღაში 1968 წელს და ქაბულში 1979 წელს, კიევში ვერ იმუშავა, რადგან ზოგიერთი გარეუბნის დროებით აღების მიუხედავად, ისეთი ქალაქი როგორიც არის ბუჩა, რუსულმა ძალებმა ვერ შეძლო კიევის თავდაცვის გარღვევა ამ მონაკვეთზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ქალაქის ცენტრისკენ წინსვლაზე, პრობლემები გაჩნდა რუსულ ლოჯისტიკაში, რუსულმა ჯარებმა ვერ შეძლო კომბინირებული სამხედრო ოპერაციის განხორციელება, სახმელეთო და საჰაერო ძალებს შორის კოორდინირების სერიოზული ხარვეზები გამოიკვეთა, კიევის დაცვისას განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო ჯაველინის სისტემები, ასევე ახალი თაობის ინგლისურ-შვედური მსუბუქი ტანკსაწინააღმდეგო იარაღი (NLAW) (Ben Barry, 2023).

წმინდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით რუსეთს უკრაინასთან მიმართებით ყველა ასპექტში გააჩნდა უპირატესობა, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური, ტექნოლოგიური, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, თუმცა უკრაინა აღმოჩნდა უფრო მოქნილი და დეცენტრალიზებული ავტოკრატიულ და ხისტ, მოუქნელ რუსულ სახელმწიფოსთან შედარებით, რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკურ ელიტას, მან უკრაინის სამხედრო შესაძლებლობები ადეკვატურად ვერ შეაფასა, კრემლის მიერ გაჟღერებული ნარატივი რომლის მიხედვით რუსეთის სამხედრო ძალა ევროპაში ყველაზე ძლევამოსილი იყო საკუთარი შესაძლებლობით, ხოლო უკრაინას ჰყავდა სუსტი სამოქალაქო საზოგადოება, სპეცსამსახურები და შეიარაღებული ძალები, რომელიც მიესალმებოდა უძლეველ რუსეთს, ნარატივი სათავეს იღებს ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიიდან, რაც გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დროს და თანამედროვე ეპოქაშიც არ გამართლდა, ამის საპირისპიროდ აჩვენა დიდი ხარვეზები ხელმძღვანელობის, ინფორმაციის, ბრძანების, კონტროლის, დაზვერვის მიმართულებით, მიუხედავად უკრაინაზე გაცილებით დიდი რესურსების არსებობისა (Tatiana Vorozhko, 2023).

2022 წლის აპრილიდან რუსეთი ომის ახალი სტრატეგიით შეეცადა უკრაინული რესურსების გამოფიტვას და იერიში წამოიწყო სამოქალაქო ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად უპილოტო საფრენი აპარატებით, ე.წ. ,,კამიკაძე დრონებით“ და საკრუიზო რაკეტებით, ხოლო ინიციატივის ხელში ასაღებად იმავე წლის სექტემბერში

გამოაცხადა ქვეყანაში ნაწილობრივი მობილიზაცია, რათა დამატებით რუსულ არმიებში გაწვეული იქნას 200 000-მდე მობილიზებული მამაკაცი, ჩამოყალიბებულიყო ახალი დივიზიები და საარმიო კორპუსები, რაც რუსულ მხარეს საშუალებას მისცემდა განეახლებინა შეტევითი ოპერაციები, რაც შეეხება რუსეთის სატანკო ინდუსტრიას 1 წლის განმავლობაში 200-250 ახალ T-72B3 და T-90M ტანკის გამოშვებას თუ შეძლებს, უშუალოდ უკრაინულ არმიას კი მის ხელთ არსებული სამხედრო ტექნიკის (ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები, თუ ტანკსაწინააღმდეგო და თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები) დიდი ნაწილი ეროვნული და დასავლური წარმოების არის, რისი გადაცემაც დღემდე მიმდინარეობს რამშტაინის ფორმატში აშშ-ს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან (Gustav Gressel, 2023).

რუსეთის სრულმასშტაბიანმა შეჭრამ უკრაინის მთავრობა აიძულა სამხედრო ხარჯებისთვის გადაეხედა, რაც 2022 წლისთვის გაიზარდა 640%-ით და 44 მილიარდ დოლარს მიაღწია, ეს იყო ყველაზე მაღალი ერთწლიანი ზრდა ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო ხარჯების, რაც კი ოდესმე დაფიქსირებულა სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის SIPRI-ს მიხედვით, რუსეთმა გაზარდა 9,2%-ით და შეადგინა 86,4 მილიარდი დოლარი, რაც შეეხება ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო ხარჯებს 2022 წლისთვის მან 345 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ცივი ომის შემდეგ ევროპის კონტინენტზე (JANEK SKARZYNSKI, 2023).

2022 წლის თებერვალში უკრაინის არმია მსოფლიოში რანგით 22-ე ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა ამერიკული და ბრიტანული სამხედრო დახმარებამ ერთგვარი იმპულსი შესძინა უკრაინელთა ბრძოლისუნარიანობას, მათ კონტრშეტევით შეძლეს 2022 წლის აგვისტოსთვის ოკუპირებული ტერიტორიის დაახლოვებით 1/3-ის, კერძოდ 1 054 ქალაქის, დაბის და სოფლის გათავისუფლება რუსი ოკუპანტებისაგან (10 Ways Ukraine Has Surprised the World Since February 24, 2022, 2022). უშუალოდ ომის წინ უკრაინის რეგულარული არმია მოიცავდა 125 000 ჯარისკაცს, ხოლო რუსეთს შემტევი სამხედრო ძალა წარმოდგენილი იყო 280 000 ჯარისკაცით (რუსული არმია მოიცავდა დაახლოვებით 60

საბრძოლო ჯგუფს) რომელთაც გვერდს უმაგრებდა კერძო დაცვის ვაგნერის სულ მცირე 20 000 მებრძოლი, რაც შეეხება საჰაერო ძალების პარიტეტს, უკრაინას დაახლოვებით 35 000 ჯარისკაცი, ხოლო რუსეთს 165 000 ჯარისკაცი ჰყავდა, რუსულ რეგულარულ არმიას უკრაინამ დაუპირისპირა რეგულარულ სამხედრო ნაწილებთან ერთად ნახევრად პარტიზანული ტერიტორიული თავდაცვის ძალები, რომელთაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს აგრესორს.

რუსეთის ომმა უკრაინაში ერთგავრი ბიძგი მისცა აშშ-ს და ევროკავშირის პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებას და დღემდე სანქციების 11 პაკეტი განახორციელა. კრემლის კარგად გათვლილი და ჩამოყალიბებული თავდაპირველი მიზნების განუხორციელებლობის მიუხედავად, იგი აგრძელებს უკრაინის სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განადგურებას, რომლის ბოლო აკორდი იყო კახოვკის კაშხლის აფეთქება და მისგან გამოწვეული სტიქიური მოვლენები, ეკოციდი. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და ევროკავშირის პოლიტიკურმა ლიდერებმა გერმანიის კანცლერის ოლაფ შოლცის ხელმძღვანელობით კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი ერთგულება უკრაინის მხარდაჭერის მიმართ და დაპირდნენ მას, რომ უკრაინის დახმარებას გააგრძელებენ ყველა საჭირო საშუალებით იქამდე, ვიდრე იქნება საჭირო, იქამდე სანამ უკრაინა არ გაიმარჯვებს და არ აღიდგენს საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

დასკვნა

კვლევით ნაშრომში ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები წარმოდგენილი მაქვს რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ყველაზე დიდი კრიზისი XXI საუკუნეში და მის კვალდაკვალ არსებული დიდი ცვლილებების მოლოდინი. კვლევის პროცესში წარმოდგენილი თემის ანალიზი ცხადად პასუხობს კვლევის მთავარ კითხვას - რა გავლენა აქვს რუსეთ-უკრაინის ომს ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემაზე? სწორედ უკრაინაში რუსულმა სამხედრო ინტერვენციამ გამოაჩინა სამხედრო ძალის ვაკუუმი და საფრთხეები, რაც ემუქრება ევროპის კონტინენტს ცივი ომის დასრულების შემდეგ, აჩვენა რომ ევროპა თითქმის სრულიად მოუმზადებელი იყო როგორც სამხედრო, ისე ენერგეტიკული თვალსაზრისით, ხოლო უკრაინაში ომით გამოწვეულმა მიგრაციულმა კრიზისმა დიდი გავლენა მოახდინა ევროპული კავშირის უსაფრთხოებაზე, ომმა ერთგვარი ბიძგი მისცა ევროპული სამხედრო მრეწველობის აღორძინებას, დიდმა სახელმწოფოებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს სამხედრო ბიუჯეტი და დაიწყეს საკუთარი, ეროვნული არმიების სწრაფი გადაიარაღების პროგრამების განხორციელება, ერთი მხრივ გერმანიამ და საფრანგეთმა, მეორე მხრივ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა პოლონეთით სათავეში საკუთარი არმიის რიცხოვნების გაზრდა დაიწყეს, როგორც აღმოჩნდა ასეთი მასშტაბის კრიზისს ევროპის კონტინენტი მოუმზადებელი დახვდა. აღნიშნული ემპირიული ხასიათის კვლევამ ბოსნიის, საქართველოს და უკრაინის კონფლიქტის მაგალითებზე დაყრდნობით გამოავლინა ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკური ლიდერების ის მცდარი მოლოდინები და ფუჭი იმედები, რაც დაკავშირებული იყო თანამედროვე რუსეთის იმპერიულ ბუნებასთან. ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროკავშირის ხედვით რუსეთი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს დაიცავდა და არ შეეცდებოდა მეზობელი სახელმწიფოების სუვერენიტეტის შეზღუდვას სამხედრო ძალის გამოყენებით, კვლევამ გამოავლინა კრემლის პოლიტიკის ის ძირითადი პარდიგმები რასაც ეყრდნობა იგი ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ერთი მხრივ იგი ოსტატურად იყენებდა ევროკავშირ-ამერიკის ანტაგონიზმს და მათ შორის შუღლის ჩამოგდებას

ცდილობდა, მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იყენებდა რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ინგლისურენოვან მაუწყებლებს და ევროკავშირს კიდევ უფრო მეტად დამოკიდებულს ხდიდა ენერგომატარებლების მიწოდების თვალსაზრისით. სწორედ კრემლის აგრესიულმა პოლიტიკამ აიძულა ევროკავშირი მთლიანად გადაეფასებინა საკუთარი პოლიტიკა რუსეთის მიმართ და მასთან ეკონომიკური ურთიერთობა დაეყვანა ყველაზე დაბალ ნიშნულზე ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში. კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე გაანალიზდა ევროკავშირის უსაფრთხოების გამოწვევები XX საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XXI საუკუნის პირველ მეოთხედში, შედეგად გამოიკვეთა ის საფრთხეები, რაც მას დაემუქრა ერთი მხრივ ბალკანეთის კონფლიქტების და ომების სერიებით, რომლის ერთგვარი გაგრძელება იყო რუსეთის აგრესიული სამხედრო მოქმედებები 2008 წელს და ომი საქართველოს წინააღმდეგ, რასაც ევროკავშირის მხრიდან არ მოჰყოლია სათანადო ნაბიჯების გადადგმა და აგრესორის დასჯა, შედეგად უკრაინაში ყირიმის და აღმოსავლეთ უკრაინის კრიზისებს ომიც მოჰყვა 8 წელზე ნაკლებ დროში რუსეთის მხრიდან, კვლევამ გამოავლინა ევროკავშირის სრული დაბნეულობა და მისი პოლიტიკის არასწორი ნაბიჯები და სრული უუნარობა, ასევე გამოკვეთა ევროკავშირის ის ძირითადი პარადიგმები და კრიზისები, რაც გამოვლინდა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე და მის გამოსწორებას ცდილობს დღემდე აქტიურად. კითხვაზე თუ რა გავლენა აქვს რუსეთ-უკრაინის ომს ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემაზე ეს გამოიხატა ომის პირველივე თვეს, ასეთი მასშტაბის ინტერვენციისათვის გასამკლავებლად ევროკავშირი სათანადოდ არ აღმოჩნდა მომზადებული საინფორმაციო, ენერგეტიკული, ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ჰიპოთეზაში წარმოდგენილი ორი მთავარი თეზისი 1. პოსტბიპოლარულ ეპოქაში ჩამოყალიბებული ევროპული გაერთიანება და ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტრატეგია ცივი ომის დასრულებამდე. 2. რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურაზე - შესატყვისი საკვლევი ინსტრუმენტების მეშვეობით ჩემს მიერ წარმოდგენილი ემპირიული

ანალიზის საფუძველზე, ცალსახად გამართლდა. ჰიპოთეზის გათვალისწინებით გამოიყო ორი ცვლადი: დამოუკიდებელი და დამოკიდებული, სადაც დამოკიდებული ცვლადია კონფლიქტები, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადია ევროკავშირის პოზიცია ამ კონფლიქტებთან მიმართებით.

კვლევის დასასრულს აღვნიშნავ, რომ ევროკავშირი მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში დგას შემდეგი გამოწვევების წინაშე: რუსული იმპერიალიზმი რომელიც წარსულის გადმონაშთი ეგონა, ის კვლავ რთულად დასაძლევია უკრაინაში და ომი გრძელდება თითქმის წელიწადნახევარია, სულ უფრო მეტ რესურსს და დახმარებას ითხოვს უკრაინული სახელმწიფო, მისი ომის მანქანა. დაპირისპირება, რომელიც რუსეთს და დასავლეთს შორის არის, ის ერთგვარ იდეოლოგიურ განზომილებასაც ატარებს და მას წარმოაჩენს, როგორც დემოკრატიული სამყაროს ჭიდილს ავტორიტარიზმთან და იმპერიალიზმთან, სადაც გაიმარჯვებს რესურსები და მისი ეფექტურად გამოყენების ხელოვნება, ამასთან უკრაინა არის ზღვარი რის გადალახვას ევროკავშირი და აშშ არ დაუშვებს, შესაბამისად იგი შეეცდება რუსულ იმპერიალიზმს შეკავებას დღევანდელ საზღვრებში ყველა შესაძლო მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Luis Simón. (2023). The Ukraine War and the Future of the European Union's Security and Defence Policy. *CENTER FOR STRATEGIC&INTERNATIONAL STUDIES*.

2. 10 Ways Ukraine Has Surprised the World Since February 24, 2022. (2022). *GLOBSEC*.

3. Ankita Dutta . (21). A Look at EU-Russia Relations. *Indian Council of World Affairs*, 1-2.

4. Arkady Moshes. (2009). Eu-Russia relations: unfortunate continuity. *FONDATION ROBERT SCHUMAN*, 1-2.

5. Arnold Wolfers. (1959, January). THE BALANCE OF POWER IN THEORY AND PRACTICE. *Source: Naval War College Review, January, 1959, vol. 11, No. 5 (January, 1959), pp. 1-20*, pp. 1-20.

6. Balaji. (2023, 06 18). *Russia-Ukraine Conflict Summary - Essay on Russia-Ukraine War 2022-23*. Retrieved from https://byjusexamprep.com: https://byjusexamprep.com

7. Barbara Roggeveen. (2021). EU-Russia relations: Normative rivalry or pragmatic Partnership? *Foundation for European Progressive Studies*, pp. 3-4.

8. Ben Barry. (2023). Russia's War in Ukraine: What are the emerging military lessons? *STRATEGIC SURVEY 2022 The Annual Assessment of Geopolitics*.

9. Brief overview of relations. (2023, 06 11). Retrieved from russiaeu.ru: https://russiaeu.ru/en/brief-overview-relations

10. Carl Bildt. (n.d.). Russia, the European Union, and the Eastern Partnership. *ECFR Riga Series*, 4-5.

11. Caroline de Gruyter. (2023). Ukriane's Was Has Finally . *Foreign Policy*.

12. (2016). *Comprehensive Assistance Package for Ukraine.* North Atlantic Treaty Organization. Retrieved from nato.int.

13. (n.d.). *Crimea: From Catherine the Great to Vladimir the Gambler.* Brookings Institution.

14. Cynthia A. Roberts. Dr. (2007). Russia and the European Union: The Sources and Limits of "Special Relations". *US Army War College USAWC Press*, 35-37.

15. Francesca Maria Vidori. (2022). The European response to the Ukrainian War. *LIGHTOUSE EUROPE*.

16. Gustav Gressel. (2023). The second year of Russia's war: Scenarios for the Ukraine conflict 2023. *EUROPEAN COUNCIL ON FOREIGN RELATIONS*.

17. Heidi Maurer, Richard G Whitman, Nicholas Wright. (2023). Tte EU and the invasion of Ukraine: a collective responsibility to act? . *International Affairs*.

18. HOMERO EDMUNDO BLANCO LOZADA, MCEBISI BENJAMIN MTISHISELWA, MOHAMED SALEM ELMELIGY, ROGERIO DOS SANTOS LAJOLA GARCIA. (2014). Political and economic consequences of the annexation of the Crimean Peninsula bu Russia. *Army Command and General Staff College*, 10-11.

19. https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/european-neighbourhood-policy/eastern-partnership_en. (2023, 06 19). Retrieved from European Neighbourhood Policy and Enlargement Negotations (DG NEAR): europa.eu

20. https://www.eumm.eu/en/about_eumm/mandate. (2023, 06 19). Retrieved from https://www.eumm.eu: https://www.eumm.eu

21. Iryna Mikhnovets. (2015). *Moldova, Ukraine and Georgia: what has been done after the decisive Eastern Partnership Summit in Vilnius in 2013?* AUSTRIA INSTITUT FÜR EUROPA - UNDA SICHERHEITSPOLTIK. Retrieved from https://www.aies.at.

22. Isabelle Brusselmans. (1998). The European Union in Bosnia and Herzegovina repairing reconstruction reconnecting. *European Commission External Relations - DGIA*, 2-3.

23. JANEK SKARZYNSKI. (2023). Ukraine's Defense Spending Skyrockets by 640% in 2022, as Global Military Expenditure Surprasses $2 Trillion. *KYIV POST* .

24. Jonathon cosgrove. (2020). THE RUSSIAN INVESION OF THE CRIMEAN PENINSULA 2014-2015. *Natonal Security Report*, 2-3.

25. KARL-PETER SCHWARTZ. (2023). War in Ukraine: Assessing the EU's response. *Geopolitical Intelligence Services*.

26. Katya Kruk. (2019). The Crimean Factor: How the European Union Reacted to Russia's Annexation of Crimea . *THE WARSAW INSTITUTE REVIEW*.

27. Kim R. Homles. (2015). What Is National Security? *2015 INDEX OF U.S. MILITARY STRENGTH* (pp. 17-26). THE HERITAGE FOUNDATION.

28. Levente Csaszi. (2022). EU-Russia relations. *Fact Sheets on the European Union*.

29. Madhavi Gaur. (2022). Ukraine and Russia Conflict Explained 2022. *Adda 24/7 Current Affairs*.

30. Mercy A. Kuo. (2023). Russia-China Challenge in US-EU Relations. *THE DIPLOMAT*, 1-3.

31. Mykhaylo Zabrodskyi, J. W. (2022). Preliminary Lessons in Conventional Warfighting from Russia's Invasion of Ukraine: February-July 2022. *Royal United Services Institute for Defence and Security Studies*.

32. Nivedita Kapoor. (2021). Russia-EU Relations: The End of a Strategic Partnership. *ISSUE BRIEFS AND SPECIAL REPORTS*, 1-2.

33. Peter Dickinson. (2021). The 2008 Russo-Georgian War: Putin's Green light. *Atlantic Council*.

34. Peter Rudloff. (2013, December). Offensive Realism, Defensive Realism, and the Role of Constraints . *Arkansas Political Science Association*, pp. 45-72.

35. Richard Cohen, M. M. (April 2001). Cooperative Security: New Horizons for International Order. *GEORGE C. MARSHALL EUROPEAN CENTER FOR STUDIES*, 9-28.

36. Robert J. Delahunty. (2014). The Crimean Crisis. *University of Thomas Journal of Law and Public Policy*, 125-126.

37. Russell buchan, Nicholas Tsagourias. (2017). The Crisis in Crimea and the Principle of Non-Intervention. *White Rose Research*, 2-3.

38. russiaeu.ru. (n.d.). Retrieved from Brief overview of relations: https://russiaeu.ru/en/brief-overview-relations#top

39. Sergii Gulenok. (2018). THE WAR REPORT 2018 CRIMEA: BETWEEN ANNEXATION AND REUNIFICATION. *THE GENEVA ACADEMY A JOINT CENTER OF* , 2-3.

40. STEFAN MEISTER. (2022). A Paradigm Shift: EU-Russia Relations After the War in Ukraine. *CARNEGIE EUROPE*.

41. Steven E. Lobell. (2010). *Structural Realism/Offensive and Defensive Realism.* OXFORD UNIVERSITY PRESS.

42. Tatiana Vorozhko. (2023). Three Reasons Most Analysts Were Wrong on War in Ukraine. *Voice of America*.

43. Tatiana Zonova. (2023, 06 11). *From Cold War to Cold Peace: the EU-Russsian Relations.* Retrieved from eui.eu: https://www.eui.eu

44. William R., Keylor. (2011). *The Twentieth-Century World and Beyond: An International History Since 1900 SIXTH EDITION.* NEW YORK, OXFORD: OXFORD UNIVERSITY PRESS.

45. Wivel, Andres. (2017, October 4). *https://www.academia.edu/34761979/Security_dilemma*. Retrieved from academia.edu.

46. WOLFGANG KOETH. (2018). Leadership Revised . *Africa Francophonie - 2 nd Quarter 2018*, 26-27.

47. ბჟეზინსკი, ზ. (2014). *დიდი საჭადრაკო დაფა.* თბილისი: არტანუჯი.

48. ბრუს ჯენტლესონი. (2015). *ამერიკის საგარეო პოლიტიკა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

49. დონალდ რამსფელდი. (2018). *რამსფელდის წესები.* თბილისი: არტანუჯი.

50. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (EPN). (n.d.). Retrieved from police.ge.

51. ზურაბ აბაშიძე. (2012). *დანგრეული კედლის ჩრდილში .* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

52. ოლეგ პანფილოვი. (2018). *რუსულ-ქართული საინფორმაციო ომი 2008 წელი.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

53. რონალდ დ. ასმუსი. (2010). *მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა: საქართველო, რუსეთი და დასავლური სამყაროს მომავალი.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომდემლობა.

54.ჰენრი კისინჯერი. (2021). *დიპლომატია.* თბილისი: ინტელექტი.